ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 169 (9329)

პარასკევი 18 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## ხარისხი — მთავარია მუშაობაში

ლენინ-სტალინის პარტია სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სახავს ბრძოლას პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება, დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დაცვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჩვენი სახალხო მეურნეობა ერთიანი სახელმწიფო გეგმით ვითარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო გეგმა კანონია და იგი უცილებლად უნდა შესრულდეს. ასევე ურყევი კანონია ის, რომ თვითეული საწარმო განუხრელად ასრულებდეს მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვების გეგმას.

პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა საბრძოლო ამოცანად დაგვისახა: „გავაუმჯობესოთ გამოშვებული საქონლის ხარისხი, შევწყვიტოთ არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება და დავსაჯოთ ყველა ის ამხანაგი, მიუხედავად პიროვნებათა, რომლებიც არღვევენ ან გვერდს უვლიან საბჭოთა ხელისუფლების კანონებს პროდუქციის ხარისხისა და კომპლექტიანობის შესახებ“.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც საქმით ასრულებენ დიდი სტალინის ამ მითითებას, განუწყვეტლივ ზრდიან პროდუქციის გამოშვებას და აუმჯობესებენ მის ხარისხს. ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში წარმოიშვა და კვლავ წარმოიშობა წარმოების ნოვატორთა მრავალი შესანიშნავი თაოსნობა. ცნობილი ნოვატორის ა. ჩუტკიხის მაგალითისამებრ მრავალ საწარმოში შექმნილი არიან და ნაყოფიერად მუშაობენ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები ბრიგადები. მრეწველობაში ფართო გავრცელება ჰპოვა აგრეთვე ა. ქანდაროვას და ლ. აგაფონოვას პატრიოტულმა მოწოდებამ თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ამ პატრიოტულ თაოსნობას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში. მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ეს უმაგალითო აღმავლობა ცხადყოფს, რომ საბჭოთა ადამიანები უშუალოდ არიან დაინტერესებული მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებით.

მასების პატრიოტული აღმავლობის საფუძველზე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი და სერიოზული ნაკლოვანებებია, რომ ჯერ კიდევ ყველა მნიშვნელოვანი რეზერვი და საშუალება არ არის გამოყენებული მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვების გადიდებისათვის.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში დაბალი ხარისხის პროდუქცია მზადდება, დიდია ზარალი წუნის გამო. განსაკუთრებით სუსტად არის გაშლილი ბრძოლა ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის, წუნის მკეთებელთა წინააღმდეგ რესპუბლიკის სამკერვალო საწარმოებში. ამ საწარმოების სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ შეკერილი ტანსაცმლისა და ქუდების ხარისხს. მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას მრავალი ნაკლი აქვს, რის გამო მოსახლეობა ნაკლებ ეტანება ამ საქონელს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, სარეწაო კოოპერაციის საბჭო და ინვალიდთა კოოპერაციის კავშირი საჭირო ყურადღებას არ აქცევენ სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის დაცვის საკითხებს. ამის შედეგად სამკერვალო ფაბრიკებსა და სახელოსნოებს გასაყიდად გამოაქვთ ძნელადგასასაღებელი, დაბალხარისხოვანი ნაწარმი.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ისევე როგორც სარეწაო კოოპერაციის საბჭოსა და ინვალიდთა კოოპერაციის კავშირის სამკერვალო საწარმოები ვერ ასრულებენ პროდუქციის ასორტიმენტის დავალებას. 1951 წელს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო ფაბრიკებმა 51 სახეობის ნაწარმიდან პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს მხოლოდ 38 სახეობის მიხედვით, მიმდინარე წელს კი მარტო გასულ ოთხ თვეში ქვეყანას დააკლეს 40-ზე მეტი სახეობის 77.615 ცალი სამკერვალო ნაწარმი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გამოშვებული საქონლის ხარისხი ხშირად ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნას.

საბჭოთა მომხმარებლებს — მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს — სურთ შეიძინონ მაღალხარისხოვნად და გემოვნებით შეკერილი ტანსაცმელი. მაგრამ სამკერვალო ფაბრიკები და სახელოსნოები ხშირად ვერ ასრულებენ ამ მოთხოვნას. მათ მიერ გამოშვებული ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი არაკეთილხარისხოვანია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამკერვალო ფაბრიკებში და „გლავშვეისბიტის“ გამსაღებელ ბაზებში მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის ჩაწოლილი იყო დაახლოებით 4,5 მილიონი მანეთის გაუსაღებელი მზა პროდუქცია.

ტანსაცმლის შეკერვის ხარისხისადმი უყურადღებობა, საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ძალიან ძვირი უჯდებათ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო ფაბრიკებს. აღნიშნული ფაბრიკები სისტემატურად ვერ ასრულებენ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებებს, დიდი ზარალი აქვთ წუნის გამო. მიმდინარე წლის ოთხ თვეში გამსაღებელმა ორგანიზაციებმა დაბალ ხარისხში გადაიყვანეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო საწარმოების მიერ გამოშვებული 12.611 ცალი მზა ნაწარმი, მთელი მიწოდებული საქონლის 13,8 პროცენტი. ამავე პერიოდში სამკერვალო ფაბრიკებმა გამსაღებელ ორგანიზაციებს გადაუხადეს 109.700 მანეთი ჯარიმა.

დაბალი ხარისხის ტანსაცმელს უშვებს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა (დირექტორი ამხ. ლორია). გასულ ოთხ თვეში სავაჭრო ორგანიზაციებმა ფაბრიკას უკან დაუბრუნეს გადასაკეთებლად 3.839 ცალი მზა ნაწარმი, ანუ მთელი მიწოდებული პროდუქციის 55,1 პროცენტი. ფაბრიკის საწარმოო კოლექტივი სამარცხვინოდ ჩამორჩა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების საქმეში. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო სამმართველოს მუშაკები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი და ვერ უზრუნველყოფენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მტკიცედ დაცვას.

ბევრ სამკერვალო საწარმოში ნაცვლად იმისა, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ზრუნავდნენ, არსებითად ხელს აფარებენ და დაუსჯელად ტოვებენ წუნის მკეთებლებს, ზომებს არ იღებენ ტექნიკური კონტროლის განყოფილებებში წესრიგის დასამყარებლად. ცუდად მუშაობენ ტექნიკური კონტროლის განყოფილებები თბილისის პირველ და მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკებში. ამ საწარმოებში არ ხდება ოპერაციათაშორისი კონტროლი, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მზა ნაწარმის წუნდების საქმე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი და დასახეს სათანადო ღონისძიებანი. სამკერვალო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მკერავთა შორის, აამხედრონ საზოგადოებრივი აზრი წუნის მკეთებელთა წინააღმდეგ, მთელი ძალები დარაზმონ შეკერილი ტანსაცმლის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

**სასტიკი პასუხი ვაგებინოთ წუნის მკეთებლებს, ხალტურულად მომუშავეებს. სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის საჭიროა მთელი სიმკაცრით განვახორციელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამრეწველო საწარმოების მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.**

ამოცანა ის არის, რომ კერვის ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვით, სამკერვალო ფაბრიკების შემდგომი მექანიზაციითა და მათი მაღალკვალიფიციური კადრებით განმტკიცებით უზრუნველვყოთ სამკერვალო საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭრით გაუმჯობესება.

მივცეთ საბჭოთა მომხმარებელს მხოლოდ მაღალხარისხოვანი და მისთვის საჭირო ასორტიმენტის შეკერილი ტანსაცმელი!

## დაიწყო მეორე რიგის გამანაწილებელი არხების მშენებლობა

**ბოლშაია მარტინოვკა** (როსტოვის ოლქი), 15 ივლისი (საქდესი). ვოლგა-დონის სარწყავ ნაგებობათა მშენებლების კოლექტივმა, რომელმაც შექმნა დონის მაგისტრალური არხის ქვემო დონის და აზოვის გამანაწილებელი არხების კალაპოტები, დაიწყო მეორე რიგის მიწის სამუშაოები.

ახალი გამანაწილებელი არხების სამშენებლო უბნებზე მოდის ექსკავატორები, სკრეპერები, ბულდოზერები და სხვა ტექნიკა. უკვე მიღებულია „ეშ-1“ მარკის ოთხი მოსიარულე ექსკავატორი.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს დონის მაგისტრალური არხის გასაგრძელებლად. გაჰყავთ სალკოვკის გამანაწილებელი არხი, რომლის სიგრძე 15 კილომეტრია. აქ უკვე ამოიღეს პირველი რამდენიმე ათასი კუბური მეტრი გრუნტი. ამავე დროს მომავალი მაგისტრალური არხის რაიონში შენდება მუშათა დაბები მშენებელთათვის.

მუშაობა იწყება ბაგაევსკის გამანაწილებელი არხის ტრასზეც. დაბა კომაროვსკისთან ეს არხი გამოეყოფა დონის მაგისტრალურ არხს და 35 კილომეტრს გაივლის სტანიცა ბაგაევსკაიას მიმართულებით. არხები რომლებიც ახლა იქმნება, ისევე როგორც უკვე მოქმედი არხები, წყალს ციმლიანსკის ზღვიდან მიიღებენ. ახალი არხების რაიონებში დაიწყო კოლმეურნეობების მიწების სარწყავი მუდმივი ქსელის მშენებლობა.

მეორე რიგის სარწყავი არხების მშენებლობაზე უკვე თავმოყრილია 600-მდე მიწისსათხრელი მექანიზმი. მეექსკავატორეები, სკრეპერისტები, ბულდოზერისტები, რომლებიც ემზადებიან ღირსეულად აღნიშნონ ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის საზეიმო გახსნის დღე, ვალდებულებას კისრულობენ ვადამდე დაამთავრონ მშენებლობა და მომავალი წლის გაზაფხულიდან უზრუნველყონ დონის კიდევ 200 ათასი ჰექტარი გვალვიანი მიწის მორწყვა.

## ვოლგა-დონის არხში გემების მიმოსვლის განრიგება

მთავრდება უკანასკნელი მზადება ახალ სანაოსნო მაგისტრალზე — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხში სამგზავრო გემების რეგულარული მიმოსვლის დასაწყებად.

27 ივლისს მოსკოვიდან — ხიმკის სამდინარო ვაგზლიდან დონის როსტოვისაკენ წავა პირველი სამგზავრო გემი „საბჭოთა რესპუბლიკა“. ამავე დღეს დონის როსტოვის ნავსადგურიდან დედაქალაქისაკენ წავა გემი „რადიშჩევი“.

სამდინარო ფლოტის სამინისტრომ დაამტკიცა ახალ სანაოსნო გზაზე გემების მიმოსვლის განრიგება. ამ მაგისტრალზე ივლის ბევრი გემი და თბომავალი. რეგულარული მიმოსვლა იწყება მოსკოვ-დონის როსტოვისა და სტალინგრად-კალაჩის ხაზებზე და საგარეუბნო მიმოსვლა სტალინგრადის, როსტოვის, ციმლიანსკისა და კალაჩის ნავსადგურების რაიონებში.

მოსკოვიდან დონის როსტოვში სამგზავრო გემი ივლის სამ დღეში ერთხელ.

საგარეუბნო და ადგილობრივი ხაზების მომსახურებისათვის გამოყოფილია „მოსკვიჩის“ ტიპის 20 თბომავალი. (საქდესი).

## ახალი საზომი აპარატურა

**კიევი**, 15 ივლისი. (საქდესი). კიევის ქარხნის „ნეფტეიზმერიტელის“ კოლექტივი შეუდგა საწვავის დოზატორების სერიულ გამოშვებას. ამ აპარატს დგამენ მილსადენზე და იგი თვლის თხევადი სათბობის გარკვეულ რაოდენობას. როცა დოზატორი საწვავის საჭირო რაოდენობას გაუშვებს, ავტომატურად წყდება საწვავის მიწოდება.

დოზატორებს ფართოდ გამოიყენებენ ნავთის ბაზებში და ბენზინის ჩასასხმელ პუნქტებში.

დაიწყო აგრეთვე ნავთის საზომების დამზადება ნავთის აღსარიცხავად და ცისტერნებსა და ტანკერებში ჩასხმის დროს დაღვრის თავიდან ასაცილებლად.

## ორი ტირაჟი

27 ივლისს ვორონეჟში გაიმართება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) მოგებათა პირველი ტირაჟი. გათამაშებულ იქნება 794.055.600 მანეთის 3.112.200 მოგება.

ივლისში მოეწყობა კიდევ ერთი ტირაჟი — სახელმწიფო სამპროცენტიანი სესხისა. სულ გათამაშდება 18.600.800 მანეთის 34.000 მოგება.

ტირაჟი გაიმართება 30 ივლისს ქალაქ გორკში. (საქდესი).

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა 25-ე ტომი უნგრულ ენაზე

**ბუდაპეშტი.** (საქდესი). გამომცემლობა „სიკრამ“ უნგრულ ენაზე 50 ათასი ცალი ტირაჟით გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 25-ე ტომი.

## ნორვეგიაში გამოიცა ი. ბ. სტალინის ნაწარმოები „ლენინიზმის საკითხები“

**ოსლო.** (საქდესი). გამომცემლობა „ნიუ დაგმა“ ნორვეგიულ ენაზე გამოსცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოები „ლენინიზმის საკითხები“.

## სამგორის პური

★ ★ ★



★ ★ ★

საოცარი სახელი შეურქმევია ხალხს სამგორის ერთ-ერთი კუთხის, მუდამ მოუსავლიანობით და სიმწირით ცნობილი, ოდითვე დაგვალული ველისათვის — „ულევარა“. აქ ბალახიც ვერ ხარობდა ხეირიანად, რომ თივა მაინც დაეგროვებინათ მარტყოფელებს, საქონლის საკვების ულეველი მარაგის ადგილად ჰგულვებოდათ ეს ველი. მრავალჯერ სცადეს ულევარაზე მცირე ნაკვეთების დათესვა, იქნებ ხელსაყრელი ამინდი ექნეს მოსავალს, პური მოვიმკათო, მაგრამ არასოდეს იმედი არ გამართლებიათ შრომისმოყვარე მთესველებს. ჯიუტი გვალვა შეუდრეკლად ბობოქრობდა, მცხუნვარე მზე ნათესებს ჯეჯილობის ასაკშივე ტრუსავდა, დათავთავებას არ აცლიდა.

ახლა სულ სხვა სურათია ულევარას მკერდზე. ეს სახელი ამ ველისთვის სავსებით შესაფერისი და უწინწყლებოდ მისაკუთვნებელი გახდა.

მოხუცი მარტყოფელი კოლმეურნე ნ. ოშაყმაშვილი, რომელიც ულევარაზე მოსავლის ასაღებად გამოსული თვითმავალი კომბაინის მომსახურებაში ახალგაზრდა მეზობელს ვახტანგ გაიხარაშვილს შეეცილა და ორთაბრძოლაში გამარჯვებული რაინდის პოზით დგას კომბაინის ბუნკერთან, ზოგჯერ შეგუბებულ ფიქრთა გასამჟღავნებლად წამოიძახებს ხოლმე:

— ე, რას მოვესწარ, ხალხო!

იცის კომბაინერმა ავთანდილ ცოფურაშვილმა, თუ რატომ წამოიძახებს ხოლმე ხანდახან მოხუცი ამ სიტყვებს, სხვებმაც — ოხუნჯობის მოყვარულმა ახალგაზრდებმაც იციან, მაგრამ მაინც კიდევ ათას მეერთე განმარტებისათვის აგულიანებენ მოხუცს, რომ მისი ტკბილი საუბარი მოისმინონ. საცხენისის ხევში ლელე მოწანწკარებს. რამდენჯერ გამოსულან ამ ღელეში მისი ჭაბუკობის წლებში მარტყოფელები ხუცესის მეთაურობით, ხატებითა და საეკლესიო ბაირაღით! ევედრებოდნენ წმიდა ილიას, ღვთისმშობელს, ქაშვეთის წმიდა გიორგის და კიდევ ვის არა, რომ წვიმა მოევლინებინათ, მოსავალი გვალვისაგან გადაერჩინათ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. გვალვას თავისი გაჰქონდა, გლეხის ოჯახში სიღარიბე მტკიცედ იყო დასადგურებული.

წელს კი იხტიბარგატეხილ გვალვას ვერაფერი დაუკლია ივრის წყალის მფარველობაში გადასული ულევარას ველის ნათესებისათვის. შავ ნიადაგს წყალი დედის ძუძუსავით შერგებია, ნათესისათვის ფრთა შეუსხამს და მთელი ეს ვეებერთელა ველი ყვითლად მოლივლივე პურის ყანათა ოკეანედ გადაუქცევია.

1000-ზე მეტი ჰექტარიდან 416 ჰექტარი ყამირი დახნეს წელს სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ულევარაზე ერთ მასივად. სარაკოდ შეუცვლია ამ მასივს მთელი მიდამო. წყალგამანაწილებელი არხებითა და დროებითი რუებით დაქსელილ ველს სიცოცხლის ძალა უგრძვნია, პური გაუხარებია და თავჩაქინდრული ციდასიგრძე თავთავები კომბაინის მოახლოებას ელიან. იქვე, მიჯნას იქით, ვაზიანის მიმართულებით გადაშლილია ჰიაფერის ველი. ამ ველს ჯერ არ უნახავს სახნისის პირი, და ამიტომ არის, რომ თავისი სიბეჩავით ასეთ კონტრასტს წარმოადგენს ულევარას გვერდით. მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა კანდელაკი ჰიაფერის ათვისების გეგმას აწყობს — მალე გადავხნავთ ამ ველსაც, სამგორელმა მშენებლებმა გაისათ აქაც უნდა მოგვიწყონ სარწყავი ქსელი, ულევარაზეც დამატებით ფართობებს ავითვისებთ და ნახეთ, მომავალ წელს რა უხვი მოსავალი წავიღოთ აქედან ჩვენს საკოლმეურნეო ბეღელში, — ამბობს იგი.

4 კომბაინი გამოიყვანა მარტყოფის მტს-მა ულევარაზე. მათ შორის ერთი თვითმავალი კომბაინი, რომელსაც მოწინავე კომბაინერი ავთანდილ ცოფურაშვილი მართავს, ერთიც დიდი „საველე ხომალდი“ — „სტალინეც-6“, რომელსაც ნიკოლოზ ჯავახიშვილი მართავს, და ავენოზ მიგრიაულისა და სოლომონ ოსიაშვილის „კომუნარები“. მტს-ის აგრონომი შ. მახარაშვილი კმაყოფილია კომბაინერების მუშაობით.

— მხედველობაში მიიღეთ, — გვითხრა მან — რომ ულევარას ახალი მიწები ჩვენი კომბაინერების მიერ ჯერ „შეუსწავლელია“. კომბაინის მაღალი ნაყოფიერებისათვის კი ნაკვეთის მდებარეობის, რელიეფის ცოდნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ თუ ავთანდილ ცოფურაშვილმა თვითმავალი კომბაინით დღეში 8 ჰექტარი უნდა აიღოს, ხოლო ფაქტიურად 14 ჰექტარ მოსავალს იღებს, ეს მის მიღწევად მიმაჩნია. ხალისიანად, ინტერესით მუშაობენ დანარჩენი კომბაინერებიც და მოსავლის სიუხვითაც კმაყოფილი ვართ. 18-20 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე ახლად ათვისებული მიწისათვის მცირე როდია!

• • •

ლეგენდარული სამგორის პლატოს ხედიც შეუცვლია ივრის წყალს. აქაც ოქროსფერი პურის ყანებია გადაფენილი მთელ სივრცეზე სამგორის კალთებიდან აღმოსავლეთით ივრის ნაპირამდე და სამხრეთით მშრალ ხევამდე.

ადგილ-ადგილ პურის ყანებს მკაფიო სიმწვანით სერავს სიმინდის ნათესი. წელს მთელი ეს თვალუწვდენი ველი სარწყავი გახდა და გაზაფხულზე ორჯონიკიძის რაიონიდან სამგორში ჩამოსახლებულმა კოლმეურნეებმა 400 ჰექტარზე დათესეს სიმინდი.

არასოდეს უნახავთ მთის სოფლიდან ჩამოსახლებულებს არც პურის და არც სიმინდის ასეთი მოსავალი. წყალს ბევრი რამ შეძლებია, ამბობენ კოლმეურნეები. ახლა სამგორის პლატოზე გაჩაღებულია პურის მკა. ჯერჯერობით 12 კომბაინი მუშაობს, მრავალი ასი კოლმეურნე ქალი და კაცი, დიდი და პატარა გამოსულა სამკალში. მრავალ ადგილას მოწყობილ კალოებზე პურის ხვავი მთასავით დგას, ხოლო ავტომობილებისა და ურმების ქარავნები განუწყვეტლივ ეზიდებიან ხორბალს კომბაინებიდან კალოებისაკენ და კალოებიდან „ზაგოტზერნოს“ საწყობებისაკენ.

კომბაინები ღამითაც მუშაობენ. კოლმეურნეები განსაკუთრებით ემადლიერებიან კომბაინერებს ალექსი სინჯიკაშვილს და თევდორე შაბანოვს, რომლებიც „სტალინეცით“ ყოველდღიურად 18-20 ჰექტარ მოსავალს იღებენ. კარგად მუშაობენ „კომუნარის“ მარკის კომბაინებზე გ. პარხუმოვი, გ. სინჯიკაშვილი და თვითმავალი კომბაინით ი. ხუდიაკინი.

მაგრამ სამგორის პლატოზე მოსავლის აღებას თან ახლავს ნაკლოვანებანი, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ბევრგან ყანა იმდენად გადამწიფებულია, რომ არის მარცვლის ჩაცვენის საშიშროება. მაშასადამე, საჭიროა ასეთი ნაკვეთების გამოვლინება და პირველ რიგში კომბაინების იქ შეყვანა. ყანებში გასულ ბრიგადებში ბევრგან მოუწესრიგებელია დანაკარგებთან ბრძოლა, თავთავების აკრეფის საქმე კარგად არ არის მოწყობილი. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა დაეხმარება კოლმეურნეებს მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში.

• • •

...მზე დასავლეთისაკენ გადახრილა და პალდოს სიმაღლეებიდან წამოსული ნიავით შენელებული მისი სხივები საამურად ესალბუნება მკელთა მზემოკიდებულ სახეებს. შრომითი ყიჟინა და საველე ხომალდთა ხმაური შეუნელებლივ გრძელდება სამგორის ყანებში.

**დ. ლომთაძე.**

• • •

**სურათზე:** მოწინავე კომბაინერის ალექსი სინჯიკაშვილის აგრეგატი პურს იღებს სამგორში ათვისებულ ახალ ფართობზე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## პურის მკა სტავროპოლის მხარეში

**სტავროპოლი**, 16 ივლისი. (საქდესი). პურის მასობრივი მკა დაიწყეს 39 რაიონის კოლმეურნეობებმა. მოსავლის აღების ტემპის მხრივ პირველი ადგილი უკავია ლევოკუმსკოეს რაიონს. რაიონის მტს-ის ასზე მეტი კომბაინერი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის ნორმებს, ხოლო კომბაინერები ნეკლიუდოვი, ჩერნოშჩეკოვა, გრიცუტა და ბევრი სხვა, რომლებიც უნარიანად იყენებენ საათობრივ გრაფიკს, ორ-ორნახევარ დავალებას ასრულებენ და ჰექტარზე 120 ფუთ მარცვალს ლეწავენ.

აგროტექნიკის მაღალი დონის მეოხებით ველის გვალვიანი რაიონების — აპანასენკოეს, არზგირის, პეტროვსკოეს და ლევოკუმსკოეს რაიონები ჰექტარზე 120-150 ფუთ ხორბალს იღებენ.

## 240 ფუთი ქერი ჰექტარზე

**დონის როსტოვი**, 14 ივლისი. (საქდესი). თითქოს ზღვაში მიცურავსო, ისე მიდის კომბაინი თვალუწვდენ მინდორში. ბუნკერში ცვივა მსხვილი მარცვალი. პირველ ხუთ საათში ვესიოლის მტს-ის კომბაინერმა ამხ. ბლიზნიუკმა 15 ჰექტარი ქერი მომკა ტაგანროგის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და 3.600 ფუთი საუკეთესო მარცვალი გამოუშვა ბუნკერიდან. თვითეულ ჰექტარზე 240 ფუთი!

— უმაგალითო მოსავალია, — ამბობენ კოლმეურნეები.

ამავე სასოფლო-სამეურნეო არტელში თვითმავალი კომბაინის მექანიკოსი გრიშინი მკის საშემოდგომო ხორბალს „ოდესური 3“. ეს ხორბალი თვითეულ ჰექტარზე 210 ფუთი მოდის.

ასეთი მოსავალი დონზე წელს იშვიათი როდია. კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში კომბაინერმა ივანე ხარკოვსკიმ პირველ 10 ჰექტარზე გალეწა 1.980 ფუთი საშემოდგომო ხორბალი. აქ ჰექტარზე 200 ფუთ მოსავალს იღებს კომბაინერი ივანე პოლიაკოვი.

ორლოვსკის რაიონის კუიბიშევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში კომბაინერი ივანე მიგალი ჰექტარზე 198 ფუთ პურს ლეწავს. ამდენსავე პურს იღებენ სტალინის სახელობის, XVIII პარტიული კონფერენციის სახელობის და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებში.

სასიხარულო ამბით — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნით აღფრთოვანებული დონელი კოლმეურნეები ახალი ძალით აჩაღებენ შეჯიბრებას მოსავლის საუკეთესოდ აღებისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიული ცხოვრება

# ბოლშევიკური აგიტაციის ძალა

საკოლმეურნეო სოფელში დიდი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეები თავდადებულად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგიტაციო-მასობრივ მუშაობას, რადგან მის ქმედითობაზე დიდად არის დამოკიდებული სამეურნეო წარმატებათა მოპოვება.

სუხუმის რაიონის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია უნარიანად წარმართავს საგიტაციო მუშაობას და სასურველ შედეგსაც აღწევს. განსაკუთრებით კარგად მოაწყო საგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფელ თავისუფლების კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ პირველადმა პარტორგანიზაციამ. კოლმეურნეობაში 12 აგიტატორი მუშაობს. აგიტკოლექტივი მათი თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის ხშირად აწყობს აგიტსემინარსა და თათბირებს.

საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია სისტემატურად მსჯელობს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე. მაგალითად, 10 მაისს პარტიულმა კრებამ განიხილა საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერების საკითხი. კრებაზე გამოირკვა, რომ მთელ რიგ მოწინავე აგიტატორებთან (კუპრავა, შვანგირაძე, ბერაძე) ერთად იყვნენ ისეთი აგიტატორებიც, რომლებიც დაკისრებულ საპატიო მოვალეობას გულგრილად ეკიდებოდნენ და საუბრებს იშვიათად და მოუმზადებლად ატარებდნენ (მ. გაწერელია, ა. ჩეპნიანი). კრებამ გაითვალისწინა გამოსული ამხანაგების საქმიანი წინადადებანი და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასახა საჭირო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ არსებითად შეცვალა მდგომარეობა.

კოლმეურნეობაში აგიტაციას ეწეოდნენ ამავე სოფლის პედაგოგები. საზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით ბევრი მათგანი დასასვენებლად გაემგზავრა. ეს კარგად გაითვალისწინა საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ და ისინი დროზე შეცვალა სათანადოდ მომზადებული და ამ საქმით დაინტერესებული ამხანაგებით. ეს ისე მოხდა, რომ კოლმეურნეობაში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა საგიტაციო მუშაობა. პირიქით, იგი ახალი ძალით გაჩაღდა.

გრძნობენ რა ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, აგიტატორები სისტემატურად მაღალ იდეურ დონეზე ატარებენ საუბრებს და რაზმავენ კოლმეურნე მასებს მათს წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის. საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ აგიტატორები ზ. კეკელია, ვ. ნარსავიძე, ა. ცაგურია, ნ. კოპალიანი.

აგიტატორი ა. ცაგურია ყოველი საუბრისათვის წინასწარ გულმოდგინედ ემზადება, სასაუბრო თემის გარშემო კითხულობს პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, იყენებს თვალსაჩინოებას. აგიტაციას მჭიდროდ უკავშირებს ადგილობრივი ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს, ახდენს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, აკრიტიკებს ჩამორჩენილებს. და თუ კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა ყოველთვის დროზე და ხარისხიანად ასრულებს გეგმებს, ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის აგიტატორ ცაგურიას.

პირველი ბრიგადის აგიტატორი ნ. კოპალიანი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია კოლმეურნეობაში. იგი რამდენიმე საუბრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბრიგადაში გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა, თუ ფართოდ იქნებოდა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

ამხ. კოპალიანმა გადაწყვიტა სპეციალური საუბარი მოემზადებინა სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობაზე. წინასწარ გულდასმით შეისწავლა ბრიგადის შესაძლებლობა, კარგად დაამუშავა თემა და კოლმეურნეებთან მაღალ იდეურ დონეზე ჩაატარა საუბარი. კონკრეტულ ფაქტებზე აგებულმა აგიტაციამ ბრიგადის წევრთა ინტერესი გამოიწვია. მათ ერთმანეთს შორის გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება.

კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ გამარჯვებულთათვის დააწესეს გარდამავალი წითელი დროშა. ამან ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაჩაღებას კოლმეურნეობაში. ურთიერთშორის შეჯიბრებაში ჩაებნენ კოლმეურნეები, რგოლები და ბრიგადები.

დაწინაურდა პირველი ბრიგადა. აგიტატორმა კოპალიანმა საუბრებს სისტემატური ხასიათი მისცა. ამასთან იგი ყოველდღიურად ამოწმებდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას და შედეგებს აცნობდა ბრიგადის წევრებს. თავის მხრივ კოლმეურნეები თავდადებულად მუშაობდნენ და ყოველდღიურ გეგმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. იოსელიანის, ო. აფხაიძის, ე. მუსელიანის და სხვათა ნაყოფიერი მუშაობა. ბეჯითმა შრომამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. პირველმა ბრიგადამ დამსახურებულად გაიმარჯვა შეჯიბრებაში, მოიპოვა გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც დღემდე მტკიცედ ინარჩუნებს.

კოლმეურნეობის ყოველ ბრიგადაში სისტემატურად გამოდის საველე ფურცლები. მათს გამოშვებაში აქტიურად მონაწილეობენ ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, აქტივისტები. საველე ფურცლებში გამოქვეყნებული კრიტიკული ხასიათის შენიშვნები ხელს უწყობს ნაკლოვანებათა გამოსწორებას. მაგალითად, მეორე ბრიგადის საველე ფურცელში, რომელიც 10 ივნისს გამოვიდა, ბრიგადის მოწინავე ადამიანების თ. შარტავას, ლ. ქობალიას და გ. კუჭავას გამოცდილების ჩვენებასთან ერთად გაკრიტიკებული იყო კოლმეურნეების თამარ და ოლღა ახალაიების უყაირათო მუშაობა. ისინი გვიან ცხადდებოდნენ სამუშაოზე და ადრე ბრუნდებოდნენ შინ. საველე ფურცლის კრიტიკას შედეგი მოჰყვა. ახლა ეს კოლმეურნეები ბეჯითად შრომობენ.

ქმედითი აგიტაციის შედეგად მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. კოლმეურნეობამ ყველა საგაზაფხულო სამუშაო ვადამდე და მაღალხარისხიანად შეასრულა. მეთამბაქოობის დარგში მაისის მაჩვენებლების მიხედვით კოლმეურნეობას საქართველოს კ. პ. (ბ) სუხუმის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების მიხედვით წელს კოლმეურნეობამ უნდა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 76 ტონა თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 43 ტონისა, თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 25 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა.

თამბაქოს პლანტაციები აგროწესების ზუსტად დაცვით არის დამუშავებული. კოლმეურნეობამ აფხაზეთში პირველმა დაიწყო თამბაქოს შეტეხა. უკვე ანემსილია ათეულ ათასობით ზონარმეტრი თამბაქო.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ამ გადამწყვეტ დღეებში საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო აძლიერებს საგიტაციო-მასობრივ მუშაობას. აგიტატორები მართალი, ბოლშევიკური სიტყვით რაზმავენ კოლმეურნეებს ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად.

გ. წირღვავა.

# ქართველი ახალგაზრდობის სწრაფვა მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში

(საუბარი საქართველოს სსრ განათლების მინისტრთან ამხ. ვ. კუპრაძესთან)

მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში 1952-1953 სასწავლო წლისათვის ქართველი ახალგაზრდობის გაგზავნის საკითხზე ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. კუპრაძემ განაცხადა:

— ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი მზრუნველობის შედეგად ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი დარგები. ამ დარგების განვითარებისათვის გაიზარდა მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ, ღრმა ტექნიკური ცოდნით შეიარაღებულ სპეციალისტებზე. კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობა, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება მოითხოვს ადამიანების მოწინავე ტექნიკური ცოდნით აღჭურვას, ტექნიკური მეცნიერების დაუფლებას.

ამ საქმეში საბჭოთა საქართველოს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთად უდიდესი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა კავშირის სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, კერძოდ მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს, სადაც ბევრი ქართველი ჭაბუკი და ქალიშვილი ეუფლება მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლებს. მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში სტუდენტებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ინსტიტუტებში მოწყობილია პირველხარისხოვანი ლაბორატორიები, კაბინეტები, მუზეუმები, სტუდენტთა ბიბლიოთეკები, პლანეტარიუმები და სხვ. ლაბორატორიები და კაბინეტები უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ხელსაწყო-იარაღით, რომლებიც სტუდენტს სჭირდება პრაქტიკული მუშაობისათვის. მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლები თავიანთი ტექნიკური კაბინეტებით და საუკეთესოდ მოწყობილი ლაბორატორიებით არა მარტო საბჭოთა კავშირში არიან ცნობილნი, არამედ მთელ მსოფლიოში. ამით აიხსნება ის დიდი მისწრაფება, რასაც ჩვენი ახალგაზრდობა იჩენს მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისადმი.

ამჟამად 300-ზე მეტი ქართველი ახალგაზრდა სწავლობს მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი ეუფლებიან მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ დარგებს, რომელთა შესწავლაც საქართველოში ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ქართველმა სტუდენტებმა დიდი სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურეს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს 1952 წლის 2 ივლისის ბრძანებით მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში წელს გამოიყო ასი კონკურსგარეშე ადგილი ქართველი სტუდენტებისათვის. ქართველი ახალგაზრდები გაიგზავნებიან მოსკოვში მენდელეევის სახელობის ლენინის ორდენოსან ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, სტალინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან ფოლადის ინსტიტუტში, საფეიქრო ინსტიტუტში, ბაუმანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, პოლიგრაფიულ ინსტიტუტში, მოლოტოვის სახელობის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტში, სტალინის სახელობის სადაზგო-საინსტრუმენტო ინსტიტუტში, კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში, კალინინის სახელობის ოქროსა და ფერადი ლითონების ინსტიტუტში, გუბკინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან ნავთობის ინსტიტუტში და მოსკოვის სხვა ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ახალგაზრდები გაიგზავნებიან აგრეთვე ლენინგრადის ჟდანოვის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაცივარი და რძის მრეწველობის ინსტიტუტში, კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში, ჰიდრომეტეოროლოგიურ და სხვა ინსტიტუტებში.

ზემოთ დასახელებულ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდები მოეწყობა თბილისში, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მიღების პირობები იგივეა, რაც საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს საერთო წესით. მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველებმა განცხადებები უნდა შეიტანონ საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში (თბილისი, სასწავლო შესახვევი № 2/4).

ისინი, ვინც მისაღებ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს, ორგანიზებულად გაიგზავნებიან მოსკოვსა და ლენინგრადში 25-დან 30 აგვისტომდე.

სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, საერთო საცხოვრებლებით, გათბობა-განათებით და სხვ. განათლების სამინისტრო ყოველწლიურად გაუწევს დახმარებას იმ სტუდენტებს, რომლებიც აკადემიურ წარმატებას გამოიჩენენ და ყველა საგანს დროულად ჩააბარებენ.

საბჭოთა კავშირის უდიდესი სამრეწველო ცენტრების — მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი ჭაბუკებისა და ქალიშვილების გაგზავნა უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებაა. ამიტომ ყველა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული, სახალხო განათლების ორგანოებისა და ყოველი საბჭოთა ადამიანის ვალია ხელი შეუწყონ და დიდი სერიოზულობით მოეპყრონ საშუალო სკოლადამთავრებულების სწრაფვას მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, განუმარტონ მიღების პირობები, დახმარება აღმოუჩინონ და უზრუნველყონ მათი ორგანიზებული და დროული გამოცხადება უმაღლეს სასწავლებლებში. აგრეთვე მთელი პასუხისმგებლობით უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მოსკოვისა და ლენიგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გასაგზავნად შეარჩიონ საუკეთესო კანდიდატები.

საბჭოთა ტექნიკის სწრაფი განვითარება ზრდის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯისა და დასაყრდენის ძლიერებას. ამიტომ ტექნიკური მეცნიერების დაუფლება ჩვენი ახალგაზრდობის საპატიო მოვალეობაა.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

1 ივლისს შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა უნდენმა სსრ კავშირის ელჩს შვეციაში კ. კ. როდიონოვს გადასცა შვეციის მთავრობის ნოტა შვეციის სამხედრო თვითმფრინავის „კატალინას“ საკითხზე, რომელმაც, როგორც ცნობილია, ა. წ. 16 ივნისს დაარღვია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი რისტნის კონცხის (კუნძული ჰიუმა) რაიონში, აგრეთვე შვეციის „დს-3“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავის საკითხზე. შვეციის მთავრობის ნოტაში კვლავ განმეორებულია მტკიცება, რომელსაც შეიცავდა მისი 18 ივნისის ნოტა, თითქოს ზემოხსენებულ „კატალინას“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავს არ დაურღვევია 16 ივნისს საბჭოთა საზღვარი და იყო საერთაშორისო წყლებში, აგრეთვე თითქოს მას არ აუტეხია სროლა საბჭოთა თვითმფრინავებისათვის და საერთოდ არ ყოფილა შეიარაღებული. ნოტაში აგრეთვე წამოყენებულია წინადადება, რომ ეს საკითხი გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს ან ამ საკითხის განხილვისას გამოყენებულ იქნას „სხვა, — როგორც ნათქვამია ნოტაში, — შესაფერისი საერთაშორისო პროცედურა“.

16 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ შვეციის ელჩს ბ-ნ სულმანს გადასცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი შინაარსის ნოტა:

„შვეციის მთავრობის ა. წ. 1 ივლისის ნოტის პასუხად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

1. თავის ნოტაში შვეციის მთავრობა იმეორებს მტკიცებას, რომელსაც შეიცავს მისი ა. წ. 18 ივნისის ნოტა, თითქოს შვეციის სამხედრო თვითმფრინავ „კატალინას“ 16 ივნისს არ დაურღვევია საბჭოთა საზღვარი და საერთაშორისო წყლებში იყო. ამასთან შვეციის მთავრობა იმოწმებს შვეციის საავარიო კომისიის დასკვნას, რომელიც მოყვანილია ნოტის დანართში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ეს დასკვნა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. საკმარისია ითქვას, რომ კომისია თავის დასკვნაში ემყარება სრულიად თვითნებურ მოსაზრებებსა და ვარაუდებს, რაც განსაკუთრებით შეუწყნარებელია ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, როგორიც არის 16 ივნისს შვეციის სამხედრო თვითმფრინავის ფრენის დროისა და ადგილის, აგრეთვე მისი ფრენის პირობებისა და სიჩქარის საკითხი.

კომისიის დასკვნაში მოყვანილ მოსაზრებათა უსაფუძვლობის მაგალითად საკმარისია აღინიშნოს ის, რომ კომისიის დასკვნაში, როცა განსაზღვრულია დრო და ადგილი შვეციის სამხედრო თვითმფრინავის „კატალინას“ ფრენისა, რომელმაც 16 ივნისს დაარღვია საბჭოთა საზღვარი, ზუსტად არ არის აღნიშნული თვითმფრინავის ფრენის ადგილი და დრო. ხოლო იმ შემთხვევებში, როცა ეს აუცილებელია, ადგილი და დრო აღნიშნულია მხოლოდ დაახლოებით. მაგალითად, ერთ შემთხვევაში დასკვნაში დროის ზუსტად განსაზღვრის ნაცვლად ნათქვამია: „მაშინ იყო **დაახლოებით** 4 საათი და 05 წუთი“. მეორე შემთხვევაში ნათქვამია: „შეხვედრა „მიგ-15“-თან უნდა მომხდარიყო **დაახლოებით...**“ ამდენი და ამდენი მილის მანძილზე და სხვ. ამავე დროს, დროის ზუსტად განსაზღვრა ყველა ამ შემთხვევაში სავალდებულო და ფრიად მნიშვნელოვანი პირობა იყო გამოძიების წინაშე დასახული ამოცანის სწორად გადაჭრისათვის. ეს პირობა, როგორც კომისიის დასკვნიდან ჩანს, უხეშად დარღვეულ იქნა, რამდენადაც კომისია თვითმფრინავის ფრენის დროისა და ადგილის ზუსტი განსაზღვრის ნაცვლად ემყარებოდა თვითნებურ მოსაზრებებსა და ვარაუდებს.

ზემონათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, როგორც ეს კომისიის დასკვნიდან ჩანს, რადარის დანადგარი შვეციის აღნიშნულ სამხედრო თვითმფრინავ „კატალინაზე“ არ მოქმედებდა მატერიალური ნაწილის უწესივრობის მიზეზით. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ შვეციის აღნიშნული სამხედრო თვითმფრინავი „კატალინა“, როგორც აღიარებს თვით კომისია, რომლის დასკვნას იმოწმებს შვეციის მთავრობა, „ფრენის დროს უფრო შორს წავიდა აღმოსავლეთით, ვიდრე გათვალისწინებული იყო“.

სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე აღნიშნოს, რომ კომისიის დასკვნა, რომელიც ემყარება თვითნებურ მოსაზრებებსა და ყოველგვარ „დაახლოებით“ ვარაუდებს, შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ გამოძიება, რომელსაც შვეციის მთავრობა იმოწმებს, მიზნად ისახავდა არა ობიექტური მონაცემების დადგენას, არამედ იმას, რომ ხელოვნური ხერხების საშუალებით დაეფარა შვეციის სამხედრო თვითმფრინავ „კატალინას“ მიერ 16 ივნისს საბჭოთა საზღვრის დარღვევის უეჭველი ფაქტი.

თავის 17 და 19 ივნისის ნოტებში საბჭოთა მთავრობამ უკვე აღნიშნა ამ საქმის ნამდვილი ვითარება. თვითნებურ მოსაზრებებსა და ვარაუდებს, რომლებიც მოყვანილია შვეციის მთავრობის 1 ივლისის ნოტაში და მის დანართებში, საბჭოთა მთავრობამ თავის ნოტებში დაუპირისპირა ზუსტად დადგენილი ფაქტები. საბჭოთა მთავრობის ნოტებში აღნიშნული იყო, რომ შვეციის სამხედრო თვითმფრინავმა „კატალინამ“ 16 ივნისს დაარღვია საბჭოთა კავშირის საზღვარი და იმყოფებოდა 4 მილზე საბჭოთა სახმელეთო საზღვრიდან რისტნის კონცხის (კუნძული ჰიუმა) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, ე. ი. საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში. ეს ზუსტად იყო ფიქსირებული საბჭოთა სანაპირო რადიოლოკაციის დანადგარებით.

რაც შეეხება შვეციის მთავრობის ნოტის განმეორებით მტკიცებას, რომ შვეციის სამხედრო თვითმფრინავ „კატალინას“ თითქოს არ აუტეხია სროლა საბჭოთა თვითმფრინავისათვის და რომ საერთოდ იგი არ ყოფილა შეიარაღებული, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე აღნიშნა თავის 19 ივნისის ნოტაში, რომ ეს მტკიცება სინამდვილეს არ შეესაბამება. ასეთი მტკიცება უხეშად ეწინააღმდეგება ფაქტებს და მოკლებულია საფუძველს, რამდენადაც საბჭოთა ავიაგამანადგურებლების რგოლის ეკიპაჟის პირადი ჩვენებით გამორკვეულია, რომ შვეციის სამხედრო თვითმფრინავი „კატალინა“ არ დაემორჩილა საბჭოთა თვითმფრინავების არაერთგზის მოთხოვნას გაჰყოლოდა მათ აეროდრომზე დასაშვებად და სროლა აუტეხა მიმყოლ საბჭოთა თვითმფრინავს, რის შემდეგ საბჭოთა ავიაგამანადგურებელი იძულებული იყო, თავის მხრივ, სროლა აეტეხა საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავისათვის.

შვეციის მთავრობის ნოტაში მოხსენებულია 1946 და 1947 წლებში საბჭოთა თვითმფრინავების გადაფრენის ორი შემთხვევა. ამის გამო სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ აღნიშნული შემთხვევები იყო ნავიგაციური შეცდომის შედეგი, როგორც ეს თვით შვეციის მთავრობამ აღიარა თავის 1946 წლის 28 აგვისტოს და 1947 წლის 25 სექტემბრის ნოტებში, და არავითარი საფუძველი არ არის ერთმანეთში ავრიოთ ეს შემთხვევები და საზღვრის წინასწარი განზრახვით დარღვევა.

2. თავის ნოტაში შვეციის მთავრობა ეხება აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას იმის შესახებ, რომ ... [illegible] ... თა საზღვარი. შვეციის მთავრობა ამას უკავშირებს „დს-3“ თვითმფრინავს და აცხადებს, რომ „ეს ცნობა გაგებულ უნდა იქნას ისე, რომ საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევს იმის შესაძლებლობას, რომ შვეციის თვითმფრინავისათვის სროლა აეტეხათ საბჭოთა თვითმფრინავებს“.

სამინისტრომ უნდა აღნიშნოს, რომ მის 24 ივნისის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „ხსენებულ თვითმფრინავთა ეროვნული კუთვნილება ნისლისა და არახელსაყრელი ატმოსფერული პირობების გამო არ ყოფილა გამორკვეული“. ცხადია, რომ შვეციის მთავრობის მიერ იმ ცნობის ინტერპრეტაცია, რომელსაც შეიცავდა სამინისტროს 24 ივნისის განცხადება უცხოეთის აღნიშნულ თვითმფრინავთა შესახებ, უსაფუძვლოა.

ზემოაღნიშნულის გამო საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაჭრით უარყოფს შვეციის მთავრობის პროტესტს „დს-3“ თვითმფრინავთან დაკავშირებით, როგორც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულს.

3. შვეციის მთავრობა სადავოდ ხდის სამინისტროს განცხადებას, რომ სსრ კავშირში, ისე როგორც სხვა სახელმწიფოებში, მოქმედებს ინსტრუქცია, რომლის ძალით მფრინავები ვალდებული არიან უცხოეთის თვითმფრინავი, რომელმაც სახელმწიფო საზღვარი დაარღვია და სხვის ტერიტორიაზე შეიჭრა, აიძულონ დაეშვას ადგილობრივ აეროდრომზე და, წინააღმდეგობის შემთხვევაში, — სროლა აუტეხონ მას.

შვეციის მთავრობა აცხადებს, რომ შვეციას ეს არ ეხება. იმისათვის, რომ უარვყოთ შვეციის მთავრობის ეს განცხადება, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი პარაგრაფი შვეციაში მოქმედი ინსტრუქციისა, რომელიც დართული აქვს შვეციის მთავრობის 1 ივლისის ნოტას. ამ პარაგრაფში ნათქვამია: „ცალკეული თვითმფრინავები, რომლებიც ნებადაურთველად შემოიჭრებიან შვეციის ტერიტორიის ფარგლებში, გაძევებულ უნდა იქნან გაფრთხილების გზით. თუ თვითმფრინავი არ შეცვლის კურსსა და არ გაეცლება შვეციის ტერიტორიას, მას უნდა დაუშინონ ნამდვილი ცეცხლი“.

4. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ არ მიაჩნია განიხილოს შვეციის მთავრობის ის განცხადება, რომ „შვეციის სამხედრო თვითმფრინავებს შეუძლიათ სრულიად თავისუფლად იფრინონ ღია ზღვაში და მომავალშიც, ისე როგორც დღემდე, ისარგებლებენ ამ უფლებით“, რამდენადაც სსრ კავშირი, როგორც ეს აღიარებულია შვეციის მთავრობის აღნიშნულ ნოტაში, არასოდეს არ ხდიდა ამას სადავოდ.

5. რაც შეეხება შვეციის მთავრობის განცხადებას, რომ იგი დაჟინებით მოითხოვს ამ საკითხის განხილვას საერთაშორისო სასამართლოში ან სხვა რომელიმე შესაფერისი საერთაშორისო პროცედურის გამოყენებას, საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ყურადღება მიაქციოს იმას, რომ საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვა ვისიმე ხელყოფისაგან საბჭოთა სახელმწიფოს განუყოფელი უფლება და მოვალეობაა. ამიტომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ხედავს არავითარ საფუძველს იმისათვის, რომ მიმართოს რაიმე საერთაშორისო პროცედურას იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის საზღვრების ხელყოფასთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია დაადასტუროს თავისი მოთხოვნა, რომ შვეციის მთავრობამ მიიღოს მტკიცე ღონისძიებანი, რათა არ დაუშვას შვეციის თვითმფრინავების მიერ საბჭოთა საზღვრის ახალი დარღვევა“.

მეშახტის დღის წინ

# ორი მოძმე რესპუბლიკის მეშახტეთა შეჯიბრება

**ტყვარჩელი.** სულ უფრო ფართოდ ჩაღდება უკრაინისა და საქართველოს მეშახტეთა შორის გაშლილი ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ხელს უწყობს ორი მოძმე რესპუბლიკის მეშახტეთა საწარმოო აღმავლობას, აძლიერებს მათს ბრძოლას მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის.

ამ დღეებში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტის მეშახტეებმა მიიღეს კომბინატ „დონბასანტრაციტის“ № 7-ბის შახტის კოლექტივის წერილი. ამ წერილში დონბასელები სურვილს გამოთქვამენ ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში ბერიას სახელობის შახტის კოლექტივთან. წერილში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი შახტის კოლექტივის საერთო კრებამ გადაწყვიტა გამოგიწვიოთ თქვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ მეშახტის დღეს.

ჩვენ ვკისრულობთ საბჭოთა მეშახტეების დღესასწაულის დღისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივცეთ 20 ათასი ტონა ანტრაციტი, შრომის ნაყოფიერება გავზარდოთ 5 პროცენტით, სათბობის თვითღირებულება საგეგმო დავალებასთან შედარებით შევამციროთ 2 მანეთით, გავწიოთ 2 მილიონი მანეთის ეკონომია, საყელავი მანქანის წარმადობა ავიყვანოთ 12 ათას ტონა ქვანახშირამდე, სათბობის ნაცრიანობა შევამციროთ 0,5 პროცენტით, მეშახტეთა დღესასწაულისათვის საექსპლოატაციოდ გადავცეთ ორი რვაბინიანი სახლი, კაპიტალურად შევაკეთოთ მეშახტეთა ბინები, მოვაწყოთ ორი სანიმუშო საერთო საცხოვრებელი.

გთხოვთ გვესტუმროთ, ძვირფასო ამხანაგებო, და ნახოთ, თუ როგორ შრომობენ და ცხოვრობენ დონბასელი მეშახტეები. ამასთან ერთად გთხოვთ გვაცნობოთ თქვენს მიერ მოპოვებული საწარმოო გამარჯვებანი.

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს — მსოფლიოში მშვიდობის საიმედო დასაყრდენს!

დიდება კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს, მეშახტეთა საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს!“.

ბერიას სახელობის შახტის მეშახტეები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები დიდი აღფრთოვანებით გაეცნენ დონბასელთა მეგობრულ წერილს და ერთსულოვნად მიიღეს მათი გამოწვევა. საპასუხო წერილში, რომელიც დონბასელებს გაეგზავნა, ბერიას სახელობის შახტის მშრომელები კისრულობენ:

მეშახტის დღისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ რამდენიმე ათასი ტონა სათბობი, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 7 პროცენტით, მოპოვებული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირონ 2 მანეთით და 50 კაპიკით, სახელმწიფოს მისცენ 300 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, საყელავი მანქანის წარმადობა აიყვანონ 5 ათას ტონა ქვანახშირამდე, სათბობის ნაცრიანობა შეამცირონ 0,5 პროცენტით, ფართოდ დანერგონ რაციონალიზატორული წინადადებანი და შრომის ნოვატორული მეთოდები.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ერთ-ერთი მოწინავე შახტის—ბერიას სახელობის შახტის კოლექტივი დონბასელ ამხანაგებს პირობას აძლევს, რომ შეინარჩუნებს საკავშირო პროფსაბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშას და იქნება მეტი ქვანახშირისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ვ. ჩაჩიბაია,
„ტყვარჩელის მაღაროელის“ რედაქტორი.

# იქ, სადაც პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის სუსტად იბრძვიან

— გასულ წლებში ნაყოფიერად მუშაობდა საწარმო, კარგი ხარისხის პროდუქციას უშვებდა, მომხმარებელი კმაყოფილი იყო მცხეთური ასანთით, — აცხადებენ მცხეთის ასანთის ფაბრიკის ხელმძღვანელები, მაგრამ როცა სიტყვა საწარმოს დღევანდელ მდგომარეობაზე ჩამოვარდება, ლაპარაკის მოყვარულ ხელმძღვანელებს ხალისი ეკარგებათ. ასანთის ფაბრიკა „გამარჯვება" ვერ ასრულებს საწარმოო გეგმებს, ამასთან, იგი დაბალხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

განსაკუთრებით დაბალი საწარმოო მაჩვენებლები აქვს ფაბრიკას უკანასკნელ თვეებში. აპრილის დავალება 63,9 პროცენტით, ხოლო მაისისა 98,4 პროცენტით არის შესრულებული. დიდი ჩამორჩენა იყო ივნისშიც, როცა გეგმა მხოლოდ 62 პროცენტით იქნა შესრულებული.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ნედლეულის ნაკლებობა, ფაბრიკის მუშაკთა შორის გამეფებული უპასუხისმგებლობა, შრომის დაბალი დისციპლინა.

საწარმომ ნახევარი წლის განმავლობაში ახმეტის ტყემრეწველმეურნეობიდან ნაცვლად 1.300 კუბური მეტრი მასალისა მიიღო 988 კუბური მეტრი მასალა. ამავე პერიოდში სადმელის ტყემრეწველმეურნეობიდან მიღებულია 875 კუბური მეტრი მასალა ნაცვლად 1.200 კუბური მეტრისა, აჩიგვარის ტყემრეწველმეურნეობიდან კი — ნაცვლად 2.000 კუბური მეტრისა მიღებულია 1.100 კუბური მეტრი მასალა. ნედლეულის უქონლობის გამო ფაბრიკა ხშირად უმოქმედოდ დგას. სახერხი საამქრო მაისში ოთხი, ხოლო ივნისში—20 დღე იდგა უმოქმედოდ. ნედლეულის უქონლობის გამო ასანთის საამქროს არ უმუშავნია 10, 11, 12 და 13 ივნისს.

ფაბრიკის დირექტორმა ამხ. მაცაბერიძემ ჩამორჩენის გამოსასწორებლად ყველაზე იოლი საშუალება „გამონახა". ივნისის დასაწყისში სასწრაფო დეპეშები გაუგზავნა პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილებას, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს, ხე-ტყის დამზადების ტრესტს, ახმეტის, აჩიგვარისა და სადმელის ტყემრეწველმეურნეობებს: „ფაბრიკა გაჩერებულია ნედლეულის უქონლობის გამო, გვიშველეთო". მაგრამ დაგვიანებით გაგზავნილმა დეპეშებმა საქმეს ვერ უშველა. მცხეთელ ამხანაგებს დროზე რომ შეეწუხებინათ თავი, ნედლეულის უქონლობით მუშაობა არ შეფერხდებოდა.

საწარმოს მუშაობით ნაკლებად არიან დაინტერესებული საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო და ამ სამინისტროს ხე-ტყის დამზადების ტრესტი. სამინისტრო და ტრესტი ვერ ამჩნევენ, რომ ფაბრიკაში გამოუყენებელია შინარესურსები, რომ იქ იგრძნობა მოშვებულება და უდისციპლინობა.

ცუდად არის მოწყობილი მექანიზმების გეგმიანი შეკეთება. მექანიკური საამქროს ჩარხებს დიდი ხანია შეკეთება ესაჭიროება, მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს. დაბალხარისხოვან პროდუქციას უშვებს და დიდძალ დანაკარგებს იძლევა კოლოფების საშრობი აპარატი, რომელიც შეკეთებას და წესრიგზე მოყვანას საჭიროებს.

ფაბრიკაში ნაკლებად იბრძვიან საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის. აღმოფხვრილი არ არის დაბალხარისხოვანი და წუნდებული პროდუქციის გამოშვების შემთხვევები. აქ გატაცებული არიან გეგმის შესრულების საერთო მაჩვენებლებით, ხოლო პროდუქციის ხარისხს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ხშირად ირღვევა ასანთის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი. მოუქნელად მუშაობს ტექნიკური კონტროლის უფროსი ნელი კაველსკაია. ქიმიურმა საამქრომ (უფროსი მ. ფედიჩევა) მაისში 26 აქციზური ყუთი დაბალხარისხოვანი ასანთი გამოუშვა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ასანთის თავების მასაში მეტი რაოდენობით გაურიეს ხის წებო, რამაც მას წვის უნარი შეუმცირა.

სრულყოფილად არ არის დამუშავებული ასანთის დამზადების რეჟიმი. ამას წინათ ასანთის თავების მასას ხის წებო დააკლეს, რამაც ასანთის თავების დაფხვნა გამოიწვია. ამან ძალიან შეამცირა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მედაზგე ი. ბექაურმა დაარღვია ტექნოლოგიური რეჟიმი და ამით გააუარესა ასანთის სიმაგრე. ამ საქმეში ბრალი მიუძღვის აგრეთვე კოტრების დამხერხავ ს. გიუტაშვილს, რომელიც არ ზრუნავს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

ხარისხისადმი აშკარა უდარდელობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ალ. როდონაია. მედაზგე ნადირაშვილმა ასანთის დამზადების დროს წუნი დაუშვა. წუნმდებელმა გ. მარქარაშვილმა აღნიშნული ფაქტი ამხ. როდონაიას აცნობა, მაგრამ მან ხელი ჩაიქნია და არაფრად ჩათვალა ნადირაშვილის მიერ დაშვებული წუნი.

მოუქნელად მუშაობს ფაბრიკის ლაბორატორია, რომლის გამგე თ. გოგოლაძე ვერ ერკვევა თავის მოვალეობაში. მისი წაყრუებით ქიმიური საამქრო არ იცავს ანალიზების დროს რეცეპტურით გათვალისწინებული ქიმიური შენაერთების რაოდენობას.

დიდი ნაკლოვანებებია აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის საქმეში. ასანთის რეალიზაცია წარმოებს „გლავბუმსბიტის" საქართველოს კანტორის მიერ დაშვებული განრიგებით. ამჟამად ფაბრიკის საწყობში იმაზე ორჯერ მეტი მზა პროდუქცია არის, ვიდრე ეს ნორმითაა გათვალისწინებული.

ფაბრიკაში სუსტად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. პარტბიურო ნაკლებად იყენებს კონტროლის უფლებას ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობაზე, ღრმად არ სწვდება საწარმოს მუშაობას და არ სწავლობს ჩამორჩენის მიზეზებს, არ რაზმავს პარტიულ ორგანიზაციას და საწარმოს მთელ კოლექტივს ჩამორჩენის გამოსასწორებლად, ასანთის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ეს ცნობილია პარტიის მცხეთის რაიკომისათვის, მაგრამ რაიკომის მუშაკები მხოლოდ მიწოდებული საერთო ციფრობრივი მონაცემებით იცნობენ საწარმოს საქმიანობას, ადგილზე არ სწავლობენ ფაბრიკის ხელმძღვანელთა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. მიმდინარე წელს რაიკომს ერთხელაც არ განუხილავს ფაბრიკის მუშაობის საკითხი და საჭირო ზომები არ მიუღია ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

საინტერესოა, როდემდის მოითმენენ ასანთის ფაბრიკის ჩამორჩენას საქართველოს სატყეო მრეწველობის სამინისტრო და პარტიის მცხეთის რაიკომი?

**შ. ჩუბინიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# მოკლედ საქირბოროტო საკითხებზე

(რედაქციაში შემოსული წერილების მიხედვით)

### მეტი ყურადღება გზებსა და ქუჩებს

საგზაო მშენებლობისათვის, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ქუჩების კეთილმოწყობისათვის საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავს. გზებისა და ქუჩების მოვლა-პატრონობა, მათი კეთილმოწყობისათვის ზრუნვა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა. სამწუხაროდ, ზოგან ყურადღებას არ აქცევენ გზებსა და ქუჩებს, მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან მათს კეთილმოწყობას.

ჩხოროწყუს რაიონის სასოფლო გზები, როგორც „კომუნისტის" მკითხველი ინჟინერი **შ. ვეზირიშვილი** გვატყობინებს, სავალალო მდგომარეობაშია.

„გზას ყურადღებას არავინ აქცევს, —გვწერს ამხ. ვეზირიშვილი. — იგი სავსებით უვარგისი გახდა ავტოტრანსპორტის მოძრაობისათვის და აუცილებელ კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. გზის მომვლელები, ნაცვლად იმისა, რომ ორმოები ამოავსონ, გზის გვერდით ბალახის თიბვით ირთობენ თავს".

რედაქციაში შემოსულ მთელ რიგ წერილებში ავტორები ეხებიან უყურადღებობას რაიონული ცენტრებისა და სოფლების ქუჩებისადმი.

ზუგდიდი ერთ-ერთი ლამაზი რაიონული ცენტრია. მაგრამ —

„ზუგდიდის საქალაქო საბჭო, — წერს რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში ჩვენი გაზეთის მკითხველი **დ. ჭანტურია**, —რატომღაც მიღწეულით კმაყოფილდება. თუ რაიმე კეთდება, ისევ კეთილმოწყობილი ცენტრალური ქუჩების უფრო გასამშვენებლად, თორემ სხვა ქუჩები მივიწყებულია. ლენინის ქუჩა ისეთი ორღობოღროა, რომ წვიმის შემდეგ წყალი და ტალახი დგება და გავლა ძნელდება. ასეთსავე მდგომარეობაშია მოლოტოვის, ორჯონიკიძის, გეგეჭკორის, მახარაძის და სხვა ქუჩები, ბევრგან თხრილები გაწმენდილი არ არის, ტალახი და გუბეებია".

მკითხველ **ლ. არსენიძის** წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში ჯერ კიდევ ყველგან დაწესებული არ არის სახლების ნუმერაცია:

„ბევრ ქუჩას არა აქვს სახელი, რაც ჩამოსულ მოქალაქეებს ძალიან უძნელებს საჭირო ობიექტებისა და სახლების მოძებნას. გარდა ამისა, ეს აფერხებს და ზოგჯერ შეუძლებელს ხდის წერილების დამტარებელთა და სასწრაფო დახმარების ნორმალურ მუშაობას".

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან სისტემატურად ზრუნავდნენ გზების შეკეთებისა და წესრიგზე მოყვანისათვის, ქუჩების კეთილმოწყობისათვის.

### სასოფლო კლუბების მუშაობის შესახებ

საკლუბო დაწესებულებები სოფლად დიდ როლს ასრულებენ მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაშლელად. ბევრ სასოფლო კლუბს შექმნილი აქვს მუშაობის ნორმალური პირობები. ამის შედეგად მაღალ დონეზეა დაყენებული წრეობრივი და საცნობო-საკონსულტაციო საქმიანობა, ლექციური პროპაგანდა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ დიღმის სასოფლო კლუბზე. აქ ჩამოყალიბებულია დრამატული, ლიტერატურული, მომღერალთა, მოჭადრაკეთა და სხვა წრეები, მაგრამ მათ მუშაობისათვის საჭირო პირობებს არ უქმნიან. აი რას გვწერს მკითხველი **ი. ნუცუბიძე:**

„დიდი ხანი არ არის, რაც დიღომში აშენდა სასოფლო კლუბი, მაგრამ ამ შენობას დღემდე დანიშნულებისამებრ არ იყენებენ. აქ მოთავსდა სასოფლო საბჭო და რაიონული ბიბლიოთეკა, ხოლო კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა ნაქირავებ ბინაშია. სივიწროვის გამო სასოფლო საბჭო და კლუბი ერთმანეთს მუშაობაში ხელს უშლიან".

ზოგან სასოფლო კლუბების მშენებლობას შეუწყნარებლად აჭიანურებენ. კერძოდ ამ საკითხს ეხება მკითხველების **ი. ბუხაიძისა და ვ. ჭანტურიას** წერილი:

„აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის კლუბის კაპიტალური შეკეთება 1947 წელს უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ შეკეთების ნაცვლად კლუბის ძველი შენობა მთლიანად დაირღვა. შეადგინეს ახალი შენობის პროექტი, მაგრამ მხოლოდ საძირკველი ამოიყვანეს და შემდეგ მშენებლობა შეწყვიტეს".

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ინტერესები მოითხოვს მზრუნველობით მოვეკიდოთ სასოფლო კლუბებს და მათს მშენებლობას, გავაუმჯობესოთ სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურება.

# ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოღვაწეობა

**შანხაი,** 15 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ჩანძიანჟიბაომ" მოათავსა სტატია ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ. არასრული მონაცემებით ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთში (გუანდუნისა და გუანსის პროვინციების გამოკლებით) ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების 9 საქალაქო და პროვინციული განყოფილებაა. სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, დაბებსა და სოფლებში მუშაობს საზოგადოების 7.680-ზე მეტი სექცია, რომლების წევრთა რიცხვი 6.676.700-ს აღემატება.

საზოგადოება ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა. გამოდის გაზეთი „ჟუნსუეუხობაო" (ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა) და ყოველთვიური ჟურნალი „იუ" („კარგი მეგობრები") და მთელი რიგი პოპულარული ბროშურები. გარდა ამისა, გამოიცა მრავალი ილუსტრირებული ბროშურა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, თავმჯდომარე მაო ძე-დუნის საბჭოთა კავშირში ყოფნისა და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მნიშვნელობის შესახებ. 70-ზე მეტი სახელწოდების გაზეთს, ჟურნალსა და ბროშურას უშვებენ საზოგადოების პროვინციული და საქალაქო განყოფილებანი.

საბჭოთა ხალხის გრანდიოზული მშენებლობის პოპულარიზაციის მიზნით საზოგადოება აწყობს ლექციებს, გამოფენებსა და სხვ.

1951 წელს საზოგადოების სპეციალურმა აგიტმატარებელმა 8 თვის განმავლობაში მოიარა ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთის 102 მაზრა, ქალაქი და სოფელი, სადაც საზოგადოების მუშაკებმა უდიდესი საგიტაციო-მასობრივი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ მოსახლეობა გასცნობოდა საბჭოთა კავშირის ცხოვრებასა და მიღწევებს. აგიტმატარებლის ბრიგადამ მოაწყო 272 კინოსეანსი — უჩვენა ჩინური და საბჭოთა კინოფილმები. კინოფილმები ნახა 2.363 ათასზე მეტმა კაცმა. ამ რაიონებში მოწყობილი 70 ფოტოგამოფენა დაათვალიერა 415 ათასზე მეტმა კაცმა.

საზოგადოება და მისი განყოფილებანი დიდ დახმარებას უწევენ იმათ, ვისაც სურს რუსული ენის შესწავლა. ამჟამად ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთში რუსული ენის კურსებზე სწავლობს 5 ათასზე მეტი კაცი.

# დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა იბრძვის სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ

**ბერლინი,** 15 ივლისი. (საკდესი). ინგლისელ-ამერიკელ აგრესორებთან ბონელი რევანშისტების შეთანხმებას, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სეპარატული სამხედრო ხელშეკრულებით, სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას უწევს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა.

ადენაუერის ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ პატრიოტულ ბრძოლაში ებმებიან დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის სულ სხვადასხვა ფენის წარმომადგენელნი.

სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას აჩაღებს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით რურის ოლქის მოსახლეობა.

მშენებელ მუშათა პროფკავშირების წარმომადგენელთა ხალხმრავალ კრებაზე, რომელიც დუისბურგში გაიმართა, ყველა მონაწილემ ერთსულოვნად გაილაშქრა ბონის ხელშეკრულების წინააღმდეგ და მოითხოვა სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადება. მათ წერილით მიმართეს ბონის პარლამენტის დუისბურგელ დეპუტატებს და მოუწოდეს გაილაშქრონ სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ.

ასეთივე თხოვნით მიმართეს პარლამენტის დეპუტატებს მერსის რაიონის ქრისტიანი ახალგაზრდობის ორგანიზაციის წევრთა კრების მონაწილეებმა.

მიტინგზე ვანე-ეიკელში ყოფილმა ოფიცერმა ჰუგო ზუდოკმა დამსწრეთა ტაშის გრიალში განაცხადა: „მე უარვყოფ „საერთო ხელშეკრულებას". კვლავ ჰიტლერელთა დროის ლოზუნგებით სურთ ჩაბან ჩვენი ახალგაზრდობა დამღუპველ ომში".

მკაცრად გააკრიტიკა ადენაუერის პოლიტიკა პფალცის რაიონის სოციალისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ლოტარ იუისალემ, რომელიც გამოვიდა საზოგადოებრივ კრებაზე ლამბრეხტში. „საერთო ხელშეკრულება", თქვა მან, მიზნად ისახავს სამუდამოდ დაამკვიდროს გერმანიის გათიშვა და დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას საქმეს.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ბონის მთავრობის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ გაილაშქრა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩრდილოეთ ჰესენის რაიონის მეოთხე პარტიული კონფერენციის 250 დელეგატმა.

# ბულგარელი ხალხი აღნიშნავს ვასილ კოლაროვის დაბადების 75 წლისთავს

**სოფია,** 16 ივლისი. (საკდესი). დღეს ბულგარელი ხალხი აღნიშნავს თავისი ერთგული შვილის, გიორგი დიმიტროვის ახლო მეგობრისა და თანამებრძოლის—ვასილ კოლაროვის დაბადების 75 წლისთავს. ყველა გაზეთი აქვეყნებს დიდძალ მასალას, რომელიც აშუქებს ვასილ კოლაროვის სახელოვან რევოლუციურ გზას, მის როლს ბულგარელი ხალხის ბრძოლაში მონარქისტულ-ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებისა და სახალხო რესპუბლიკის შექმნისათვის.

75 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც დაიბადა ჩვენი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მშენებელი, საბჭოთა კავშირის მგზნებარე მეგობარი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ვასილ კოლაროვი, წერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო". ვასილ კოლაროვის როგორც პარტიის მშენებლის, როგორც სახელმწიფოს შესანიშნავი ხელმძღვანელის, როგორც პროგრესული მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწის, განსაცვიფრებლად მდიდარი და შინაარსიანი ცხოვრების გამოცდილებით სწავლობენ მთელი ჩვენი პარტია, ყველა მშრომელი, ისწავლიან ჩვენი თავისუფლებისმოყვარე და გმირი ხალხის მომავალი თაობები.

# ინგლისის რეაქცია სდევნის ჰიულეტ ჯონსონს

**ლონდონი,** 16 ივლისი. (საკდესი). ბურჟუაზიული პრესა განაგრძობს საზიზღარ ცილისმწამებლურ კამპანიას ჰიულეტ ჯონსონის წინააღმდეგ, რისთვისაც იყენებს 15 ივლისს ლორდთა პალატაში გამართულ კამათს. გაზეთები ფართოდ აშუქებენ ბოროტ თავდასხმებს, რომლებიც ამ კამათის დროს კენტერბერის არქიეპისკოპოსმა და ლორდთა პალატის სხვა წევრებმა მოაწყეს ჰიულეტ ჯონსონის წინააღმდეგ.

იგივე ბურჟუაზიული პრესა ჩქმალავს, რომ თვალსაჩინო პროფკავშირული და სხვა მოღვაწენი მხარს უჭერენ ჰიულეტ ჯონსონს.

გაზეთი „დეილი უორკერი" სარედაქციო სტატიაში ეხება ჯონსონის დევნას და წერს: „პრესის ისტერიული გოდება ეწინააღმდეგება ინგლისელი ხალხის უმეტესობის მოქმედებას, რომელსაც არა სურს დაიჯეროს, რომ ამერიკელები ბაქტერიოლოგიურ იარაღს არ იხმარენ. ინგლისელმა ხალხმა იცის, რომ ამერიკელები ყველაფერს ჩაიდენენ...

ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეები და გენერლები რომ ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენენ, ამას ის მოწმობს, რომ მათი ავიაცია კვლავ გულცივად სპობს სამოქალაქო მოსახლეობას კორეაში".

# საქართველოში — საკონცერტო გასტროლებზე

**მოსკოვი.** („კომუნისტის" კორ.). მოსკოვიდან საქართველოში მოემგზავრებიან მთელი რიგი სამხატვრო კოლექტივები და ხელოვნების ცალკეული გამოჩენილი მუშაკები საკონცერტო გასტროლებისათვის. მალე თბილისში ჩამოვა ურალის ხალხური სიმღერების შემსრულებელი გუნდი, რომლის გასტროლები საქართველოში ივლისის ბოლოდან სექტემბრამდე გასტანს.

აგვისტოში თბილისში საგასტროლოდ ჩამოვა უკრაინული ხალხური სიმღერის გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. ვერიოვკა. თბილისში საგასტროლოდ მოემგზავრებიან აგრეთვე მოლდავეთის ხალხური ცეკვის ანსამბლი, საკავშირო საგასტროლო ბიუროს მსახიობთა ჯგუფი და სხვ.

გაგრასა და წყალტუბოში გასტროლებზე ჩამოვლენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ემილ გილელსი და პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ტატიანა გოლდფარბი, აგრეთვე სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი გოჰარ გასპარიანი.

# მოძმე ხალხთა სტალინური მეგობრობა

## წერილები სომხეთიდან

### 1. ერევანი

ქალაქის შუაგული — ლენინის სახელობის ჩინებული მოედანი.

ისტორიული მუზეუმის შენობა ამ მოედანზე.

მუზეუმის მყუდრო დარბაზებში შენახული ნივთები ცხოვლად აღადგენენ სომეხი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას არსებობისათვის, ბრძოლას სელჯუკ, სპარს, ოსმალ და მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ.

პატარა მდინარე ახურიანი... ამჟამად ეს არის საზღვარი სომხეთსა და თურქეთს შორის. და ახურიანის სწორედ იმ ნაპირზე, რომელიც თურქეთმა მიიტაცა, აღმართულია სომხეთის აღრინდელი დედაქალაქის ანის ნაციხარები, ხავსმოკიდებული გუმბათიანი კოშკები და სათოფურებიანი გალავანი... იმ დროს არარატის თვალუწვდენი ზეგანი მთლიანად, დიდი და პატარა არარატიც სომხეთს ეკუთვნოდა... შემოსევა და ბრძოლები. სისხლისღვრა. დედათა და ბავშვთა ჟლეტა. ქალაქებისა და სოფლების აოხრება! რიგრიგად — ხან თურქი აოხრებდა ამიერკავკასიას, ხან სპარსი, ხან მონღოლი. სომხეთი, საქართველოს მსგავსად, ყოველთვის იყო ცხარე ბრძოლების ასპარეზი... მუზეუმი დალაგებით მოგვითხრობს სომეხი ხალხის მიერ გადახდილი ბრძოლების ამბავს. შევიხედოთ მუზეუმში:

... 1440 წლიდან ერევანი აღმოსავლეთ სომხეთის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. იგი აკავშირებდა სომხეთს აღმოსავლეთთან და დასავლეთთან. არარატის უხვნაყოფიან ზეგანზე აღმოცენებული ქალაქი წლითიწლობით იზრდებოდა... მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში მომძლავრებული თურქეთი იწყებს ლაშქრობას აღმოსავლეთში, სომხეთის ტერიტორიაზე გავლით—სეფევიდების სახელმწიფოს წინააღმდეგ. უმაგალითო აოხრება განიცადა სომხეთმა. ამ ლაშქრობის თანამონაწილე თურქი ისტორიკოსი პეჩევი გასაოცარი გულგრილობით წერს თავის დღიურებში: ...არმია დაიძრა ერევნისკენ. ცხოველმყოფელი დღე წყვდიადით შეიცვალა. ყველაფერი გადავბუგეთ! 23-ე დღეს ოსმალნი გავიდნენ მდინარე არპაჩაიზე, ამ მხარეშიც ყველაფერი დავიტაცეთ და გავანადგურეთ... შემაძრწუნებელი იყო დაფერფლილი და დაცარიელებული ქალაქების, დაბების და სოფლების ხილვა! ჩვენს ჯარს არასოდეს შეუძენია ასეთი სიმდიდრე!..

მაგრამ უცხოელი დამპყრობლები უძლურნი აღმოჩნდნენ ქართველი და სომეხი ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ არაერთხელ იწვნიეს ამ ხალხების გაერთიანებული ძალების დარტყმა.

„... სპარსელი და თურქი ასიმილატორები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ჟლეტდნენ სომეხ და ქართველ ერებს, მაგრამ არათუ ვერ მიაღწიეს ამ ერების მოსპობას, არამედ — პირიქით — იძულებული გახდნენ აგრეთვე კაპიტულაცია მოეხდინათ" (სტალინი).

ქართველმა მეწინავეებმა და სომეხმა დაშნაკებმა ეროვნული შუღლი ჩამოაგდეს მოძმე ერთა შორის და მერე უცხოეთის ვაჭრებს მიჰყიდეს სომხეთი და საქართველო... მაგრამ საქართველოსა და სომხეთის მშრომელმა ხალხმა შეუპოვარი ბრძოლით იხსნა თავი, ვაჟკაცურად გაუმკლავდა გარეშე და შინაურ მტრებს, შეინარჩუნა ეროვნული თავისთავადობა.

ლენინი და სტალინი! ბოლშევიკების პარტია! რევოლუციური მუშათა კლასი! ახ ვინ გადაარჩინა სომეხი ხალხი განადგურებას, ვინ გაუღო ფართოდ კარი შრომისმოყვარე ხალხის შემოქმედებით შრომას.

* * *

მუზეუმის თანამშრომელი ნაზი ავაქიანი, რომელიც ბავშვობიდანვე იყო მოწადინებული შეესწავლა თავისი ერის გმირული წარსული, ფეხდაფეხ დაჰყვება მუზეუმის დამთვალიერებლებს და განსაკუთრებული სიზუსტით ჰყვება ძველი და უძველესი ქალაქების აღმოცენებისა და განადგურების ამბავს. და როცა ქალაქ ანის გარშემო საუბრობს, ნაზი ავაქიანის ფერმკრთალ სახეს სიწითლე გადაეფინება.

— დიახ, აი სულ ახლოს, მდინარე ახურიანის ნაპირზეა ნაპოვნი ეს ნივთები... თქვენ ხომ თბილისიდან ჩამოხვედით და თუ გაიხედეთ თურქეთისკენ? ვიცი, უსათუოდ გაიხედავდით — განა შეიძლება ასე ახლოს ჩაუაროთ არარატს და მას არ შეხედოთ? და სწორედ არარატის ზეგანზე თქვენ ადვილად დაინახავდით ანის ციხე-კოშკებს...

მართლაც, როცა მდინარე ახურიანის ნაპირს მიჰყვება რკინიგზა — თქვენს თვალწინ მთელი სიდიადით აღიმართება არარატი... და მკვდარია ახურიანის გაღმა ნაპირი! ვრცელ ზეგანზე ერთი საჩრდილობელი ხე არ დგას, ერთი სახლი. არც ყანა, არც ბაღ-ბოსტანი,— ადამიანის ჭაჭანება არ არის. და იქვე, გამოღმა, საბჭოთა სომხეთის მიწა-წყალზე ბავშვების სიცილ-თამაში, ხალისიანი შრომა, პურის ყანები! სიკვდილ-სიცოცხლის მესაზღვრეა ეს პატარა მდინარე ახურიანი. მის ერთ ნაპირზე მშრომელი შრომობს და ილხენს, ახალგაზრდების სიმღერა ახმიანებს გარემოს, ხე შრიალებს და ყანა შემოსულა, ხოლო გაღმა — ბალახმომხმარი მინდორი, უკაცურობა, წყვდიადი!

და როცა ისტორიული მუზეუმიდან გამოხვალთ და თვალწინ ერევნის გულისგული—ლენინის მოედანი გადაიშლება ირგვლივ შემოჯარული მაღალი და ლამაზი შენობებით, — ღარიბად და ფერმკრთალად ისახებიან ის უწინდელი სახელმოხვეჭილი ქალაქები და ციხესიმაგრენი — ანი, კარინი, ბაიაზეთი, მუში...

ლენინის სახელობის მოედანი! ვრცელი, სუფთა, ხალხმრავალი, ხმაურიანი... მარმარილოს ტრიბუნა ლენინის ძეგლის კვარცხლბეკს წარმოადგენს. მოედანს გადასცქერის ვლადიმერ ლენინი. ეს უზადო მოქანდაკის სერგი მერკუროვის შემოქმედებაა. მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში ხელოვნური ტბაა, რომლის კიდეზე შადრევანი ჩქეფს, ხოლო შიგ ტბაში აყვანილი მილები ხელოვნურად აწვიმებენ ტბაზე. ეს მომხიბვლელი სანახაობა ალხენს მნახველის თვალსა და გულს, — დღისით მზე, ხოლო ღამით ვარსკვლავები და ელნათურები იმზირებიან ამ ტბაში და დღე-ღამე კიაფობენ და თვალს ჭრიან ჭავლები... ახლო მომავალში ახალი მრავალსართულიანი შენობები დაამშვენებს მოედანს: მთავრობის სასახლის პირდაპირ აიგება სასტუმრო, პროფკავშირების სახლი და შენობა გაზეთ „საბჭოთა სომხეთისათვის".

რა სწრაფად გაიზარდა ერევანი! წვრილ მეწარმეთა ქოხმახიან და უსინათლო ქალაქიდან, როგორიც იყო დაშნაკების ხელში, იგი გადაიქცა მრეწველობის მძლავრ კერად, აღორძინებული სომხეთის ინდუსტრიულ ცენტრად. ავტოდეტალების, მექანიკური, ელექტრომექანიკური, მანქანათმშენებელი, საშენ მასალათა, ქიმიური, ელექტრონათურების, ავტოსაბურავების და კიდევ მრავალი დიდი ქარხანა —აი ახალი ერევნის მაჯისცემა! ამ ქარხნებმა გაიყვანეს რკინიგზები და გზატკეცილები, ააგეს მძლავრი ელსადგურები, სახე უცვალეს საბჭოთა სომხეთის ქალაქებს, დაბებსა და სოფლებს; ამ საწარმოებში აღიზარდა განახლებული სომხეთის ტექნიკური ინტელიგენცია, აღიზარდნენ წარმოების ნოვატორები და ოსტატები... ეს ახალი სახლები და მოედნები, ახალი პროსპექტები, ბაღები და სკვერები, ახალი შენობები ინსტიტუტებისა და სკოლებისათვის ამ ქარხნების მიერ შექმნილი დოვლათით არის აშენებული.

დახედეთ რევოლუციამდელი სომხეთის რუკას — არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი ელსადგური! სახალხო მეურნეობის ერთი დარგიც არ იყო განვითარებული რევოლუციამდელ სომხეთში.

წითელი წერტილებით არის დაწინწკლული ახალი სომხეთის რუკა: ეს ახალი დაბა-ქალაქებია, ქარხნები, ელსადგურები, საბჭოთა მეურნეობანი. თუ რა სწრაფად იზრდება სომხეთის მრეწველობა, ამას ერთი მაგალითიც დაგვიდასტურებს: 1920 წელს სომხეთში საშენ მასალათა წარმოება სრულებით არ იყო. თუ საშენ მასალათა წარმოების 1940 წლის დონეს გამოვხატავთ ას პროცენტად, 1946 წლისათვის მარტო ზრდა უდრის სამოც პროცენტს, ხოლო 1950 წლისათვის ოთხმოცდაექვს პროცენტს. თითქმის ასეთივე ტემპით ვითარდება სახალხო მეურნეობის ყოველი დარგი.

... გეგმიანად, ლაზათიანად შენდება ერევანი. სტალინის, ორჯონიკიძის და მიქოიანის სახელობის პროსპექტებზე აღმართულია ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. მთლიანად იცვალეს სახე ბაგრამიანისა და აბოვიანის ქუჩებმა; ახალ ერევანში მოედნებისა და სკვერების სიმრავლეა, ქუჩები ფართოა და ნარგავებით გამწვანებული. ქალაქის მშენებლობაში მხურვალედ მონაწილეობენ სომხეთის ნიჭიერი არქიტექტორები გრიგოლ ალაბაბიანი, სამველ საფარიანი, მარკ გრიგორიანი. გრიგორიანს ეკუთვნის პროექტი სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობისა. საფარიანის პროექტით აღიმართა უაღრესად ორიგინალური მრავალსართულიანი სახლი ლენინის სახელობის მოედანზე, ხოლო სტალინის პროსპექტს ამკობს ალაბაბიანის პროექტით აშენებული კინოთეატრი „სამშობლო".

დედაქალაქში განსაკუთრებული სიძლიერით ჩქეფს შემოქმედებითი ცხოვრება: ერევანში გამოდის ცხრა გაზეთი დაახლოებით ორასი ათასი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილია სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის თვალსაჩინო მიღწევები მეცნიერების ისეთ რთულ დარგებში, როგორიც არის ასტრონომია და ფიზიკა. ერევნის მოლოტოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური, სამედიცინო, პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული, უცხო ენათა ინსტიტუტები და მრავალი სხვა სპეციალური სასწავლებელი ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტს უმზადებს მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ყოველ დარგს.

ერევნის კონსერვატორიაში აღიზარდნენ ნიჭიერი კომპოზიტორები — სტალინური პრემიის ლაურეატები ალექსანდრე არუთინიანი, არნო ბაბაჯანიანი და ჰარო სტეფანიანი. პირველი ავტორია კანტატისა „სამშობლო", მეორე „გმირული ბალადისა", ხოლო სტეფანიანის კალამს ეკუთვნის პირველი სომხური ოპერა საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე „გმირი ქალი".

უნდა მოუსმინოთ სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრს, როცა იგი იშვიათი ოსტატობით ასრულებს „გმირულ ბალადას": მუსიკა მოგვითხრობს საბჭოთა ხალხის უმაგალითო ბრძოლაზე სამამულო ომის წლებში, უმღერის ჩვენი ჯარების ძლევამოსილებასა და წინსვლას, გამარჯვების დროშის აღმართვას რაიხსტაგზე... მერე თანდათან მელოდიური ხდება მუსიკა — საბჭოთა ქვეყანა იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს — ხალხი უმაგალითო გატაცებით ჰკიდებს ხელს სახალხო მეურნეობის აღდგენას... ბალადის დასკვნითი ნაწილი „დიდება სტალინს" ჟღერს როგორც ხალხის აღმაფრთოვანებელი ჰიმნი, ყოველგვარი დაბრკოლებისა და სიძნელის გადამლახველი... და სომხეთის ნიჭიერი მუსიკოსები ასეთივე სიყვარულითა და გატაცებით აცნობენ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

## ბუქარესტის მშრომელთა მიტინგი. მიძღვნილი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებებისადმი

**ბუქარესტი,** 16 ივლისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ი. ბ. სტალინის სახელობის ბუქარესტის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა რუმინეთის დედაქალაქის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებებს. მიტინგის დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილე რუმინეთის წარმომადგენელთა გამოსვლები.

ცნობილმა რუმინელმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ბარბუ ზახარესკუმ, რომელიც სესიას დაესწრო როგორც სტუმარი, თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმპერიალისტური მთავრობების პასუხმა საბჭოთა მთავრობის ბრძნულ წინადადებებზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მათი პოლიტიკა გერმანიის მიმართ აგრესიული ხასიათისაა.

რუმინეთის მთავრობა, რუმინელი ხალხი, თქვა ზახარესკუმ, სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის წინადადებებს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ, ისინი მტკიცედ ილაშქრებენ ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა ყველა ხრიკის წინააღმდეგ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ფლორიკა მეზინჩესკუმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის სესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა რეზოლუცია „კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ".

ამერიკელების ვერაგულმა ბაქტერიოლოგიურმა აგრესიამ კორეაში, თქვა მან, მიზანს ვერ მიაღწია.

ხაზგასმით აღნიშნა რა პასუხისმგებლობა, რომელიც ამერიკის მთავრობას ეკისრება კორეაში ომის წარმოების ბარბაროსული მეთოდებისათვის, დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში დაბრკოლებათა შექმნისათვის, მეზინჩესკუმ თქვა, რომ ამერიკის მთავრობა დაჟინებით ამბობს უარს ჟენევის 1925 წლის ოქმის რატიფიკაციაზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ რუმინელმა ხალხმა ახლო მომავალში უნდა აირჩიოს თავისი წარმომადგენლები ხალხთა კონგრესზე მშვიდობის დასაცავად, რომელიც ვენაში შეიკრიბება, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა სორინ ტომამ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიმართება რუმინეთის მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტთა ეროვნული კონგრესი.

მშვიდობის დასაცავად ხალხთა კონგრესისა და რუმინეთის მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტთა ეროვნული კონგრესისათვის მზადება, ხაზგასმით აღნიშნა ს. ტომამ, ჩვენთვის სტიმული იქნება სოციალიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მისაღწევად.

მიტინგის დახურვის წინ აკადემიკოსმა მიხეილ სადოვეანუმ განაცხადა:

იმისათვის, რომ სიცოცხლემ დაამარცხოს სიკვდილი, რომ პროგრესმა დაამარცხოს ბარბაროსობა, საჭიროა მშვიდობის თითოეულმა მომხრემ კიდევ უფრო დაძაბოს ძალღონე, გაიმსჭვალოს თავისი მართალი საქმის გამარჯვების მტკიცე რწმენით.

## ფრანგი ხალხი მშვიდობისათვის იბრძვის

**პარიზი,** 16 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ბორდოს დოკერებმა უარი თქვეს დაეტვირთათ სამხედრო მასალა ტრანსპორტ „ატლასზე", რომელიც მაროკოში უნდა წასულიყო. ხელისუფალნი იძულებული გახდნენ იარაღის დასატვირთავად ჯარი გამოეწვიათ.

გაზეთი იუწყება, რომ ამ დღეებში ბოსეს კანტონში (ვარის დეპარტამენტი) ჩავიდნენ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც იქ დაათვალიერეს და დაგეგმეს ადგილი აზაფრენი მოედნის მოსაწყობად. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს მათი კანტონის ტერიტორიაზე ამერიკელთა სამხედრო ობიექტების მშენებლობის გეგმების წინააღმდეგ. ყველა სახლის კედლები დაფარული იყო წარწერებით: „ამერიკელებო, წაეთრიეთ აქედან!".

მოსახლეობის წინააღმდეგობისა და მტკიცე პროტესტების შედეგად ამერიკელი ოკუპანტები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ბოსეს კანტონის ტერიტორია.

## ომისა და ფაშიზმის საფრთხის წინააღმდეგ

### მიტინგი ვენაში

**ვენა,** 16 ივლისი. (საკდესი). გუშინ ავსტრიის ყველა მშრომელმა აღნიშნა ავსტრიის რეაქციის მიერ ვენელი მუშების დახვრეტის 25-ე წლისთავი.

თავისუფლებისათვის, ფაშიზმის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლაში 1927 წლის 15 ივლისს დაღუპულ მუშათა ძეგლთან საღამოს გაიმართა ვენელ მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჰონერმა.

დღეს, თქვა ჰონერმა, ჩვენ პატივს ვცემთ იმ მუშათა ხსოვნას, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ 25 წლის წინათ დემოკრატიული უფლებებისათვის, პურისათვის ბრძოლაში, რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლაში. მუშათა კლასი მაშინ დამარცხდა მემარჯვენე სოციალისტების გამცემლობის გამო. მემარჯვენე სოციალისტების ლიდერები შეუთანხმდნენ რეაქციას და სისხლში ჩაახრჩეს ვენის პროლეტარიატის გამოსვლა.

ახლა, განაგრძო ჰონერმა, მემარჯვენე სოციალისტების ლიდერები ამერიკელი იმპერიალისტების მორჩილ ლაქიებად გადაიქცნენ. მათი დახმარებით ომის ამერიკელი გამჩაღებლები კვლავ აღორძინებენ ფაშიზმს, ძარცვავენ ავსტრიის მშრომელებს, ეწევიან ავსტრიის დასავლეთი ზონების მილიტარიზაციას. მემარჯვენე სოციალისტების ლიდერთა პოლიტიკას კატასტროფისაკენ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ, კომუნისტები, ისევე როგორც 1927 წლის ივლისის ღირსსახსოვარ დღეებში, მოვუწოდებთ მთელ ავსტრიელ ხალხს, და, კერძოდ, რიგით სოციალისტებს ჩვენთან ერთად მტკიცედ იბრძოლონ ომისა და ფაშიზმის საფრთხის წინააღმდეგ, აგრესიულ სამხედრო ბლოკში ავსტრიის შეყვანის წინააღმდეგ, იბრძოლონ თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და პროგრესისათვის.

დღეს, თქვა დასასრულ ჰონერმა, ვენელი მუშების გმირული გამოსვლის 25-ე წლისთავის დღეს, ვფიცავთ მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ავსტრიის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას.

მიტინგის მონაწილეებმა იმღერეს „ინტერნაციონალი". შემდეგ დაღუპულთა ძეგლი გვირგვინებით შეამკო ავსტრიის საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ბევრმა კოლექტივმა.

# წერილები სომხეთიდან

(დასასრული)

სომხეთის მშრომელებს ქართული კლასიკური მუსიკის შედევრს ზაქარია ფალიაშვილის „დაისს" და ვიქტორ დოლიძის კომიკურ ოპერას „ქეთო და კოტეს".

უკვე რამდენიმე წელია, რაც „დაისი" და „ქეთო და კოტე" წარმატებით იდგმება ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

* * *

...დიდი და პატარა არარატი. ზაფხული. დიდი არარატის მწვერვალს ხავერდივით დაჰფენია ქათქათა თოვლი, პატარა არარატს კი თითქოს თეთრი ნაბდის ქუდი დაუხურავს; ფერდობებს თანდათან ეფინება სიმწვანე, ხოლო არარატის დიდი ზეგანი მთლიანად მწვანით დაფარულა. მწვანეში მიმდინარეებს მდინარე არაქსი.

... ზაფხული. მთებში გაწოლილი სევანის ტბა. ღამე. ცაზე თეთრი ღრუბლები. ღრუბლიანში გამოკრთის მთვარის შუქი. ტბაზე იალქნიანი ნავი. იალქანი ისეთი ფერისაა, როგორიც სევანზე გადმოხურული ღრუბელი.

სევანს სძინავს.

...ზაფხული. ალაზნის ველი. შორს, ცის დასალიერში შემართულან ყვარლის მთები. ალაზნის ველზე მწვანეში მიმდინარეებს მდინარე ალაზანი. ჭალები. ტყე. თითქოს შრიალებენ ეს ხეები, თითქოს ვიღაც მღერის ამ ტყეში და ფრინველები გალობენ. მედიდურად გაწოლილა ალაზნის ველი—სიცოცხლით სავსე, კალთაუხვი, ვრცელი...

...ალაზნის ველი დილით. მთებიდან ამოდის მზე და ცხოველმყოფელი ნათელი თანდათან ეფინება ველს... სიღნაღის ციხის ქონგურიდან დაუხედავს მხატვარს ალაზნის ველის რიყრაჟისათვის და მადლმოსილი ხელით აღუბეჭდავს იგი ტილოზე.

გიორგი ბაშინჯაგიანის ეს სურათები სომხური კულტურის სამკაულია. მნახველის თვალი დიდხანს ვერ სცილდება მათ. დიდი მხატვარი თანაბარი მონდომებით სწავლობდა ქართველი და სომეხი ხალხის ცხოვრებას, საქართველოსა და სომხეთის პეიზაჟს, მას თანაბრად ხიბლავდა არარატის ზეგანი და ალაზნის ველი, სომხეთის ზავთიანი მდინარე რაზდანი და ჩვენი დაუდგრომელი არაგვი, ტოლი-ტოლ უყვარდა და ერთნაირი გატაცებით ხატავდა წარმტაც სურათებს — საქართველოსა და სომხეთის ბუნების განუმეორებელ სილამაზეს... შემოქმედი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თავად შეესწრო განთავისუფლებულ სომხეთსა და საქართველოს, თავისუფალი მოძმე ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, რასაც ჰოვანეს თუმანიანთან ერთად მთელი გულით შენატროდა...

* * *

დედაქალაქის ყველაზე გამორჩეულ ადგილას გაშენებულია „გამარჯვების პარკი".

სტალინის სახელობის პროსპექტი მდინარე რაზდანის ნაპირიდან ლარივით მიემართება ამ პარკისაკენ. მდინარეზე ახალი ხიდი შენდება, იგი უმოკლესი გზით დააკავშირებს ბერიას რაიონს ქალაქის ცენტრთან.

პარკის შუაგულში, შემაღლებულ ადგილზე აღმართულია ბელადის გრანდიოზული მონუმენტი.

სერგი მერკუროვი და რაფაელ ისრაელიანი განსაკუთრებული შთაგონებითა და სიყვარულით მუშაობდნენ ამ ქმნილებაზე, მათ მთელი ნიჭი და შემოქმედება ჩააქსოვეს ხალხის საყვარელი სახის გამოკვეთაში.

და საბჭოთა სომხეთის დედაქალაქში ნიჭიერმა და შრომისმოყვარე სომეხმა ხალხმა აღმართა ეს მონუმენტი, როგორც ხალხთა ძმობისა და თანაცხოვრების, მჩქეფარე ღონიერი ბედნიერებისა და უფრო დიადი მომავლის სიმბოლო.

გამარჯვების მონუმენტში ცხოვლად არის გამოსახული ხალხის უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ბელადისადმი, ბელადის ზრუნვა და სიყვარული ხალხისადმი.

ა. ადამია.

ერევანი. ივლისი.

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 16 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს.

აღმოსავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგეს ავიაციისა და არტილერიის დახმარებით გაავეთრებული იერიშები მოჰქონდა მთელი დღის განმავლობაში. სახალხო არმიის ნაწილების მედგარი წინააღმდეგობის შედეგად მტერმა უკან დაიხია, ამასთან ზარალი ნახა.

გუშინ სახალხო არმიის ნაწილებმა დასავლეთ სანაპიროზე მთლიანად მოსპეს ერთი ასეული მოწინააღმდეგისა, რომელმაც დესანტი გადმოსხა და ცდილობდა თავდასხმა მოეწყო მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებზე.

დღეს საზენიტო ნაწილებმა დააზიანეს მტრის ერთი და ჩამოაგდეს ოთხი თვითმფრინავი, რომლებიც ზურგის რაიონებზე თავდასხმებში მონაწილეობდნენ.

## ამერიკის ავიაცია კვლავ ბარბაროსულად ბომბავს კორეის ქალაქებსა და სოფლებს

**ფხენიანი,** 16 ივლისი. (საკდესი). გუშინ დღისით ამერიკის თვითმფრინავები კვლავ რამდენჯერმე დაესხნენ თავს ფხენიანს და ბარბაროსულად, უწესრიგოდ დაბომბეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილს. თავდასხმის შედეგად მრავალი მსხვერპლია მშვიდობიან მოსახლეობაში. დანგრეულია მშვიდობიან მცხოვრებთა ათობით საცხოვრებელი სახლი.

კორეის გაზეთები წერენ, რომ 11 ივლისიდან ამერიკის ავიაციის ავაზაკური ბარბაროსული საჰაერო თავდასხმები ფხენიანზე, სარივონზე, ხვანჯუზე, ხამხინსა და ჩრდილოეთ კორეის სხვა მშვიდობიან ქალაქებზე ნაწილია გარკვეული პროვოკაციული გეგმისა, რომელიც ამერიკის მთავარსარდლობამ დასახა ივნისის დამლევს — ივლისის დამდეგს ქალაქ სეულში გამართულ თათბირზე.

## ჩინელი ხალხი მრისხანე პროტესტს გამოთქვამს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის თვითმფრინავები არღვევენ საჰაერო საზღვრებს

**პეკინი,** 16 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო" დღეს წერს, რომ ამერიკის თვითმფრინავების მიერ ჩინეთის საჰაერო საზღვრების პროვოკაციულმა დარღვევამ და მცხოვრებთა დახოცვამ მთელი ჩინელი ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. ჩინეთის მოსახლეობა ერთსულოვნად უჭერს მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის მტკიცე პროტესტს ამერიკის ავიაციის პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ.

გაზეთების რედაქციებს მოსდით მრავალი წერილი, რომლებშიც მუშა-მოსამსახურეები აცხადებენ, რომ ამერიკელ აგრესორთა პროვოკაციების პასუხად ისინი გააძლიერებენ ბრძოლას წარმოების გადიდებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის. ლიაოდუნის პროვინციის მუშებმა განაცხადეს, რომ იბრძოლებენ ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის და დაზოგავენ იმდენ მასალას, რომლის ღირებულება 1.300 ათასი ტონა მარცვლეულის ღირებულებას უდრის.

საპროტესტო განცხადებანი გამოაქვეყნეს აგრეთვე აღმოსავლეთ ჩინეთისა და ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის, აგრეთვე ქალაქების შანხაის, ნანკინის, ჩუნცინის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

## იაპონელებს არა სურთ იმსახურონ პოლიციის სარეზერვო კორპუსში

**ტოკიო,** 16 ივლისი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს პოლიციის სარეზერვო კორპუსის სულ უფრო მეტი სამხედრო მოსამსახურე გამოთქვამს სურვილს მიატოვოს კორპუსი სექტემბერში, როცა მათ სამსახურის ვადა უთავდებათ.

როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, აპრილში სამსახურის მიტოვების მსურველთა რიცხვი 15-20 ათასს შეადგენდა, ხოლო ახლა ეს რიცხვი 28 ათასამდე გადიდდა.

გაზეთი „სიაკაი ტაიმსი" წერს: იაპონიის პრესის იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ რიუკიუს კუნძულების ხელისუფლებმა წინადადებით მიმართეს იაპონიის მთავრობას გაგზავნონ კუნძულების 500 მცხოვრები პოლიციის სარეზერვო კორპუსის სამსახურში რიუკიუს, ოკინავას და ამამიოსიმას კუნძულების სტუდენტებმა, რომლებიც იაპონიაში სწავლობენ, 4 ივლისს გამოაქვეყნეს ერთობლივი საპროტესტო განცხადება, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რიუკიუს კუნძულების ხელისუფლები აპირებენ ითანამშრომლონ აგრესიაში აზიის ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ და რიუკიუს ახალგაზრდობას საზარბაზნე ხორცად გზავნიან ამერიკელი იმპერიალისტებისა და იოსიდას მთავრობის კარნახით.

## დამშეულთა დემონსტრაცია ინდოეთში

**დელი,** 17 ივლისი. (საკდესი). როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ინდოეთში ძლიერდება იმ რაიონების მოსახლეობის პროტესტი, სადაც შიმშილობაა. გაზეთ „სვადჰინატას" ცნობებით, დამშეულ გლეხთა მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა ნადიაში, ბურდვანში, ჰოურში, გხატალში, დასავლეთ დინაჯპურში.

გაზეთ „ფრი პრეს ჯორნელის" ცნობით, კრიშნაგარის რაიონში, კალკუტიდან 15 მილზე, გაიმართა დამშეულთა 5-ათასიანი დემონსტრაცია. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლიციამ დემონსტრანტების გასარეკად ხელკეტები იხმარა. ცნობაში აღნიშნულია, რომ რამდენიმე კაცი დაიჭრა და ბევრი დემონსტრანტი დააპატიმრეს.

გაზეთ „სტეიტსმენის" ცნობით, 15 ივლისს კალკუტის პოლიციამ ხელკეტებითა და ცრემლსადენგაზიანი გრანატებით გარეკა დამშეულთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები.

გაზეთი „სვადჰინატა" იუწყება, რომ პოლიციამ დააპატიმრა კომპარტიის რამდენიმე წევრი; დაპატიმრება დამშეულთა დემონსტრაციის შედეგად მოხდა.

## მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

### ჩოგბურთელთა შეჯიბრების შედეგები

სამ დღეს გრძელდებოდა მოსწავლე ჩოგბურთელთა შეჯიბრება თბილისის საჩოგბურთო მოედნებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 5 გუნდი. მათ შორის თბილისის ოლქისა—2, ქუთაისის ოლქისა—1, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა —1 და აჭარის ასს რესპუბლიკისა—1 გუნდი.

პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის ოლქის მოსწავლე ჩოგბურთელთა პირველი გუნდი, რომელმაც ფინალური შეხვედრისას მოუგო თბილისის ოლქის მეორე გუნდს ანგარიშით 10:4 და აფხაზეთის გუნდს ანგარიშით 12:2.

კარგი წარმატება ჰქონდა ქუთაისის ოლქის მოსწავლე ჩოგბურთელთა გუნდს (მწრთვნელი ი. გომელი). ფინალურ შეხვედრაში მან მოუგო აფხაზეთის გუნდს ანგარიშით 9:5 და ამით დამსახურებულად მოიპოვა მეორე ადგილი. აფხაზეთის ჩოგბურთელები მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

თბილისის ოლქის ჩოგბურთელთა გუნდების შემადგენლობაში შედიოდნენ სპორტული სკოლის მოსწავლეები, მათ თამაშის კარგი კლასი გამოამჟღავნეს.

პირად პირველობაზე კარგად თამაშობდნენ მოსწავლე ჩოგბურთელები ნ. შელია, ქ. კვინიხიძე, ი. რიაზანოვა, ც. თანდილაშვილი (უმცროსი ასაკის გოგონები, თბილისი), ა. ბერულავა, ქ. კლდიაშვილი, უ. ბეჟანოვი (უმცროსი ასაკის ვაჟები, თბილისი), ც. მიგინეიშვილი (ქუთაისი), უფროსი ასაკის ჩოგბურთელებიდან—გ. პუგაევა, ი. ვაჩეიშვილი (თბილისი), თ. ბორისოვი, ლ. ობოლაძე, ბ. ნაცვლიშვილი (ქუთაისი).

ხვალ, 19 ივლისს შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ფინალში გასული მოსწავლე ჩოგბურთელები: ი. თაქთაქიშვილი, მ. პუგაევა, ქ. კლდიაშვილი, ი. რიაზანოვა, ც. თანდილაშვილი, ა. ბერულავა (თბილისი), ლ. ობოლაძე, ბ. ნაცვლიშვილი (ქუთაისი).

## კვების პროდუქტები გეგმის გადამეტებით

თბილხილბოსტანვაჭრობის საწარმოო კომბინატი შეუდგა ხილ-ბოსტნეულის ახალი მოსავლიდან კონსერვირებული პროდუქციის გამოშვებას. უკვე გამოშვებულია 15 ტონა ახალი ტყემლის საწებელი, რაც სარეალიზაციოდ გადაეცა თბილისის სავაჭრო ქსელს.

მომხმარებელთა კონფერენციებზე მასობრივად გამოთქმული სურვილის თანახმად კომბინატი საგეგმო დავალების გადამეტებით წელს გამოუშვებს 7 ტონა ჩურჩხელას, 15 ტონა კომბოსტოს მწნილს, 10 ტონა პომიდორის ტომატს, 40 ტონა სანელებლიან ტყემლის საწებელს და ა. შ.

## ტურისტები. ექსკურსანტები. მოგზაურები...

**გორი.** (საკ. კორ.). წელს მრავალი ტურისტი და ექსკურსანტი მოდის გორში ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველი კუთხიდან. გორის ტურისტთა ბაზაზე ამ სეზონში უკვე გაიარა ტურისტთა 40-ზე მეტმა ჯგუფმა. აქ მოდიან ძაუჯიკაუ-გორი-ბათუმის, ბაქო-თბილისის მარშრუტების ტურისტები, მოდიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ხარკოვიდან, გორკიდან, სტალინგრადიდან, ბალტიისპირეთიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, მურმანსკიდან...

საჭიროა აღინიშნოს, რომ ტურისტული ბაზა სათანადოდ მომზადებული არ არის ტურისტული სეზონისათვის. ბაზაში სივიწროვეა. მისასვლელი გზა წესრიგზე არ არის მოყვანილი.

## სეზონი ნადიკვარზე

**თელავი.** (საკ. კორ.). კულტურისა და დასვენების პარკი — ნადიკვარი, რომელიც ყოველწლიურად მშვენიერდება, თელაველ მშრომელთა საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა.

ამას წინათ ნადიკვრის პარკში გაიხსნა საზაფხულო სეზონი, რაც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მსახიობების მიერ დიდი საღამო-კონცერტის გამართვით აღინიშნა.

ნადიკვრის თეატრში კვირაში ორჯერ გაიმართება წარმოდგენები და კონცერტები.

## ცხრა ახალი საშუალო სკოლა

საქართველოს [illegible] მინისტრო ახალი სასწავლო წლიდან რესპუბლიკის [illegible] ზოგიერთი ოვაწლიანი სკოლის ბაზაზე ხსნის ცხრა ახალ საშუალო სკოლას: ორს თბილისში, ორს რუსთავში და თითოს — ტყვარჩელში, ბათუმში, ტყიბულში, ნარაზენის საბჭოთა მეურნეობაში (ზუგდიდის რაიონი) და სოფელ ჭალაში (საჩხერის რაიონი).

შეძენილია სასწავლო ხელსაწყოები ახალი სკოლების ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის, დაწყებულია სასკოლო შენობათა რემონტი და მოწყობა 1 სექტემბრისათვის სწავლის დაწყების უზრუნველსაყოფად.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. **შ. ა. ლებანიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსად.

ამხ. **მ. ბ. ნარსია** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ამხ. **ლ. ქ. ფარჯანაძე** საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

ამხ. **გ. ი. კოკელაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

ამხ. **დ. ვ. გოგუა** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

ამხ. **ვ. გ. გელაშვილი** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სამუშაოდან მოხსნა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ა. ს. მარჯანიშვილი.

## თათბირი ქართული საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხებზე

19 ივლისს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აწყობს თათბირს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ქართული საბჭოთა ლიტერატურის სწავლების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ს. ჭილაია.

თათბირში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლები.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი:** მოწინავე — სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ თავთავიანი კულტურების მოსავალი.

საერთო სათაურით „1952 წლის მოსავალი" წერილები: ა. ქანთარია — მოსავლის აღრიცხვა. მ. მაზანაშვილი — მოწინავე კოლმეურნეობაში.

საბჭოთა ხალხის სიამაყე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

**მეორე გვერდი:** ღრმა იდეურობისა და მაღალი ოსტატობისათვის. რესპუბლიკური ინფორმაციები.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ფიზკულტურელის დღის შესახვედრად.

**მესამე გვერდი:** კულტურული საბჭოთა ვაჭრობისათვის (მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს სესია).

ავამაღლოთ ლიტერატურული კრიტიკის დონე.

ვ. ლობანოვი — სახალხო მხატვარი (ვ. დ. პოლენოვის გარდაცვალების 15 წლისთავის გამო).

გავაუმჯობესოთ სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა.

**მეოთხე გვერდი:** უცხოეთის ინფორმაციები.

რედაქტორი ზ. მერკვილაძე

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

### 19 ივლისს

(რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით).

06.25 — კამერული კონცერტი გლინკას ნაწარმოებებიდან; 07.40 — „პიონერთა დაფიონი"; 09.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 11.10 — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის ტატიანა მახარაძის კონცერტი; 11.25 — საუბარი: „მუშათა კლასის გაღატაკება და მუშათა მოძრაობის აღმავლობა კაპიტალისტურ ქვეყნებში"; 17.15 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — მარიჯანის მოთხრობა—„კედლის გაზეთი"; 18.15 — კონცერტი ბეთჰოვენის ნაწარმოებებიდან; 19.20 — ჩაიკოვსკის სიმფონიური ნაწარმოებები.

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.**

20.30 — ქალაქის ქსელით — გრიგის სიმღერები საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის თამარ ბახტაძის შესრულებით, რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — ქართული მუსიკის კონცერტი; 21.00—სომხეთის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გოჰარ გასპარიანის კონცერტის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრიდან. ანტრაქტში — სცენები მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლ „ყვარყვარე თუთაბერიდან"; 00.05 — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — რიგოლეტო; **მუსიკალური კომედიის** — ტრემბიტა; **სანკულტურის** — ჩვენი ახალგაზრდობა; **ფილარმონია** — მოსკოვის სახელმწიფო ესტრადის მსახიობთა კონცერტი დრაგუნსკის მონაწილეობით.

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის,** „ამირანი" (ზაფხულის, ზამთრის), „თბილისი", 26 კომისრის სახელობის (ზაფხულის, ზამთრის), „ისანი" (ზამთრის)—გამოუცდელი ახალგაზრდები სტადიონზე, (ზაფხულის)—სიყვარულის წამალი; „ოქტომბერი", კიროვის პარკი—მოპარული ბედნიერება; ორჯონიკიძის პარკი — აჯანყება უდაბნოში; „კოლხიდა" (ზაფხულის)—ცოცხალი ლეში; (ზამთრის)—ოცნება.


სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს „გლავხიმსბიტის" თბილისის კანტორა იღებს 1953 წლისათვის განაცხადებს დეცენტრალიზებულად დაგეგმილ პროდუქციაზე, როგორიც არის: ანტიფრიზი, ნატრიუმის ფენოლური სულფიტი, საფასადო მშრალი საღებავები, ლაქი „ეტინოლი", ავტოაფთიაქი, მოტოაფთიაქი, ველოაფთიაქი, საენტილატორო ღვედები სპეციფიკაციით (მხოლოდ ავტოპარკის საექსპლოატაციო საჭიროებისათვის).

1953 წლისათვის განაცხადთა წარდგენის ფორმები და წესი იგივე რჩება, რაც 1952 წელს იყო.

ყველა განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას 1952 წლის 1 აგვისტოსათვის.

1952 წლის 1 აგვისტოს შემდეგ წარმოდგენილი განაცხადები მხედველობაში არ მიიღება და დაკმაყოფილებული არ იქნება.

სატრაქტორო პარკის საექსპლოატაციო საჭიროებისათვის სავენტილატორო ღვედების მოთხოვნილება უნდა წარედგინოს „გლავტრაქტოროსბიტის" კანტორებს, რომლებსაც ცენტრალიზებული წესით უზრუნველყოფს ქიმიური მრეწველობის სამინისტრო.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის

საჭიროა გამოცდილი ბუხჰალტრები, მდივან-სტენოგრაფისტი ქალი, ხარატები, მრანდავები და მღარავები („ფრეზეროვშჩიკები") მაღალი კვალიფიკაციისა.

პირობების გასაგებად მიმართეთ ქარხნის კადრების განყოფილებას.

დირექცია.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თბილისის სავაჭრო კულინარული სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს დახლის მუშაკებს, კულინარებსა და მოანგარიშე-კალკულატორებს.

სკოლაში მიიღებიან 8 კლასდამთავრებული ქალები და ვაჟები 15-19 წლის ასაკამდე.

განცხადებები მიიღება 20 აგვისტომდე ყოველდღე, გარდა კვირისა, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ორი ფოტოსურათი და პასპორტი (პირადად).

მისაღები გამოცდები იწარმოებს: ქართულ და რუსულ ენებში (წერასა და ზეპირში), არითმეტიკასა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

მიღებულ მოწაფეებს მიეცემათ სტიპენდია და სკოლის დამთავრების შემდეგ მოწყობილ იქნებიან სამუშაოზე სავაჭრო ორგანიზაციებში.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

მისამართი: ბესიკის ქ. № 25, ქალთა 46-ე საშუალო სკოლის შენობა, ტელეფონი 3-89-85.

მოქალაქე თამარ ოქროპირის ასულმა წოწონავამ, მცხოვრებმა ლერმონტოვის ქ. № 22, აღძრა საქმე ხეთაგუროვის ქ. № 83 მცხოვრებ მოქალაქე ივლიანე ალექსანდრეს-ძე მონიავასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ბერიას რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ს. რ. კამალოვამ, მცხოვრებმა პლეხანოვის ქ. № 77, აღძრა საქმე საბჭოს ქ. № 85 მცხოვრებ მოქალაქე ვლადიმერ ავეტისის-ძე მიკირტიჩიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე დარო, შვილები ქენია, თამარ, ნადია, მარო, ვახტანგ ნავროზაშვილები, რძალი თამარ სიხარულიძე, სიძეები გ. სეხნიაშვილი, ლ. ბირკაძე და შვილიშვილები იუწყებიან ალექსანდრე პეტრეს-ძე ნავროზაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, პრავდის ქ. № 14.

ბიცოლა სარა, ბიძა გრიშა, შვილები ალექსანდრე, მანანა, ელგუჯა წიქარიშვილები იუწყებიან ი. ს. ამაშუკელის გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VII, გამოსვენება ჯორჯიაშვილის ქ. № 6.

მეუღლე ევდოკია, შვილები სამსონ, პლატონ, დოროთე, ტრიფონ, რძლები მარიამ, გულნარა, ნათელა, შვილიშვილები იზაბელა, ვენერა, კარლო, თამარ, ჯულიეტა, ივთანდილ, რომან, ვალენტინა ჩიქოვანები იუწყებიან ელიზბარ ჩიქოვანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VII სოფ. რეკაში (ცხაკაიას რ.).

შვილები სონა, ნიკოლოზ, ნადია, ეკატერინე, რძალი მარო, სიძე კ. მაიოროვი, შვილიშვილები დოდო, ნორა, ნოდარ, ლილი, გიორგი, დოდო იუწყებიან გიორგი დავითის-ძე ასათიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-VII, 8 ს. გამოსვენება 19-VII, 6 ს. მცხეთის, 21.

მშობლები გოგუცა, ილია, და ციალა ნაჭყებიები იუწყებიან თინა ნაჭყებიას გარდაცვალებას.

მშობლები მამუკა, ნადია, და ლამარა, ბებიები აგრაფინა, ანა, ბიძა ოლიფანტე ბუაჩიძე იუწყებიან ნუგზარ მამუკას-ძე ცქიტიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-VII, 8 ს. გამოსვენება 20-VII, 6 ს. უნივერსიტეტის, 42.

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან ონისიმე ივანეს-ძე გვარამაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-VII, ს. ბარალეთში (ახალქალაქის რ.).

შვილები ლიდა, ანა, მარიამ, შურა კალანდაძეები, სიძეები ნ. ხირსელი, ი. შალიბაშვილი, შვილიშვილები ვ. ხირსელი ოჯახით, ო. ახმეტელაშვილი იუწყებიან ეკატერინე მიზარბევის ასულ ცინცაძე-კალანდაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VII ჩოხატაურში. გამოსვენება ძნელაძის, 5.

თბილისის ბავშვთა მე-8 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ეკატერინე მიზარბევის ასულ კალანდაძის გარდაცვალებას.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ✓Э 03642